საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 23 ივნისი. 2017 წ. №125 (8262), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

115 მომხრე – პარლამენტმა პირველი მოსმენით საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილების პროექტი მიიღო

115 მომხრე და არც ერთი წინააღმდეგი, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებს პირველი მოსმენით კენჭი უყარა. პროცესი საკანონმდებლო ორგანოში გუშინ დასრულდა. კენჭისყრაში არ მონაწილეობდა არც ერთი ოპოზიციური პარტია.

ძალადობით კონსტიტუციის მიღება არ შეიძლება!

„ჩვენ მივიღეთ კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც ნულოვანი კონსენსუსი აქვს“, – განუცხადა ჟურნალისტებს საქართველოს პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ ძალადობით კონსტიტუციის მიღება არ შეიძლება.

ნამეტნავად საინტერესოა, სად დაინახა ძალადობა ქართველი ხალხის ცოდვით სავსე ამ ვაიპრეზიდენტმა?! ძალადობა სწორედ ის არის, რასაც ის თვითონ აკეთებს!

რის ფრანკენშტეინი, რის ბოკერიაშტეინი!..

ინტერპარტიული ჯგუფი საერთაშორისო უწყებებს მოსალოდნელი რევოლუციის შესახებ ატყობინებს.

ინტერპარტიული ჯგუფის წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ვენეციის კომისიას და ეუთოს საგანგებო მიმართვა გაუგზავნეს. ჯგუფი საერთაშორისო უწყებებს მოსალოდნელი რევოლუციის შესახებ ატყობინებს.

„მმართველმა გუნდმა მიიღო ფრანკენშტეინის კონსტიტუცია და ამის მოგვარება კონსენსუსით შეუძლებელია. ამიტომ პროცესები საპროტესტო მუხტს იძენს და არ არის გამორიცხული, რევოლუცია მივიღოთ“, – წერია წერილში.

ინტერპარტიული ჯგუფის განცხადებით, ერთადერთი საკითხი, რაზეც პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა შეძლეს, შერეული საპარლამენტო საარჩევნო სისტემიდან პროპორციულ სისტემაზე გადასვლა იყო. **21 ივნისს, პარლამენტში რიგგარეშე სესიაზე, კონსტიტუციის განხილვას ბოიკოტი გამოუცხადა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „პატრიოტთა ალიანსმა“, მოგვიანებით კი „ევროპულმა საქართველომაც“.**

უმადურობა ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობა – უპატიებელი ცოდვა...

⑤

რუსეთის მომწამვლელი პოლიტიკის საპირწონედ

⑧



<u>დენიელ ფრიდი:</u> მესმის, ქართველები შეიძლება იმედგაცრუებულნი ხართ, მაგრამ თქვენი ჯერი აუცილებლად დადგება!

ამერ-იმერში

ინვესტორი თუ სახელმწიფო?

④

ხუდონჰესის ინვესტორს პროექტში 20 მილიონ დოლარამდე აქვს ჩადებული

აჭარის ბრენდულ სასტუმროებში ადგილების 70 პროცენტი უკვე დაჯავშნილია

④

ქართული ზღვის თევზი ევროკავშირის ბაზრისკენ მიცურავს

„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“!..

გელა ქოქიაშვილი

⑥

ვანო სარაჯიშვილი – ლეგენდად ქცეული ორფევსი

ქარის ელექტროსადგურის აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე

ძართლის ქარის ელექტროსადგურის აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე განთავსდება, — საჯარო შეთავაზებით იქმნება პრეცედენტი, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს პროექტში წილის შეძენის შესაძლებლობას აძლევს.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, პრივატიზაციის ასეთი ფორმა ძალიან მნიშვნელოვნად წაახალისებს, პირველ რიგში, საფონდო ბირჟას და ამავდროულად, საშუალებას მისცემს ადგილობრივ ინვესტორებს, შეიძინონ წილი პროექტში.

„რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენს მოქალაქეებს გაუჩნდეთ ჩართულობის შეგრძნება იმ ძალიან მნიშვნელოვან პროექტებში, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ. ასევე, ადგილობრივ ინვესტორებს მიეცემათ შანსი, შეიძინონ ამ პროექტის აქციები, ვინაიდან მომზადდება პროექტი ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე საჯარო შეთავაზებისთვის. ეს არის ძალიან კარგი პრეცედენტი, რომელიც ერთადერთი არ იქნება. ჩვენ ამ მიმართულებით კიდევ არაერთ ნაბიჯს გადავდგამთ“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერი მიიჩნევს, რომ მწვანე ენერგიის ათვისება უნდა გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, საქართველომ სწორად აითვისოს ჰიდროენერგიის მიმართულებით არსებული პოტენციალი, თუმცა აქცენტი გასაკეთებელია ქარისა და მზის ენერგიაზეც, რომელიც, ტექნოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე, საკმაოდ იაფდება. პრემიერ-მინისტრმა ქარის ელექტროსადგურის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის ენერგეტიკის მინისტრს, ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, EBRD-ს და საქართველოს ენერგეტიკის განვითრების ფონდს მადლობა გადაუხადა და გამოთქვა რწმენა, რომ პროექტის აქციები ადგილობრივ საფონდო ბირჟაზე წარმატებით განთავსდება.

ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსსა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქი ისტორიული მნიშვნელობის პროექტია, რომელიც დიდ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს განვითარებაზე.

„ორი დღის წინ ხელი მოეწერა ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსსა და მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის თანახმად, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი შემოდის ამ პროექტში, არა როგორც კონსულტანტი, არამედ პარტნიორად. ამით ქუთაისის უნივერსიტეტი ხდება ერთობლივი პროექტი მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად. მიუნხენის უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სასწავლებელია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს აქვს უდიდესი პოტენციალი, ჩამოყალიბდეს საერთაშორისო რეგიონული განათლების ცენტრად და ქუთაისი მართლაც გახდება საერთაშორისო განათლების მნიშვნელოვანი კერა, როგორც ეს იყო ისტორიულად. გილოცავთ ამ ძალიან დიდ წარმატებას! მოხარული ვარ, რომ საქართველო თანდათან ხდება პოპულარული არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში, არამედ საკმაოდ დაშორებული ქვეყნებიდანაც ჩამოდიან სტუდენტები განათლების მისაღებად. ქუთაისის უნივერსიტეტი იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ინსტიტუცია ევროპაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ამ პროექტის წარმატებაში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ვტოვებთ დარბაზს“

უმცირესობა ოპოზიციის ბოიკოტს შეუერთდა

„ევროპული საქართველო“ კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების განხილვაში მონაწილეობას აღარ მიიღებს. როგორც უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ აღნიშნა, დებატების ბოლოს ძალიან მკაფიოდ ჩანს, რომ უმრავლესობა ჩამოყალიბებულია საკუთარ პრინციპებზე, რომელიც „ევროპული საქართველოს“ აზრით, ქართველი ხალხის ნებას ეწინააღმდეგება.

„ამიტომ, ჩვენ ჩვენი პოზიცია გამოვხატეთ, ჩვენ ქართველ ხალხთან ერთად დავაფიქსირეთ ჩვენი აზრი, შეკითხვები, წინააღმდეგობა. ამის იქით გვრჩება მხოლოდ მეორე მეთოდი საპარლამენტო პოლიტიკური ბრძოლის — შემდგომ განხილვაში მონაწილეობის არმიღება, რასაც „ევროპული საქართველო“ აკეთებს. ამიტომ ვტოვებთ დარბაზს და უმრავლესობას საშუალებას მოგცემთ, ერთი პარტიის ხმებით ძალიან მშვიდად, წყნარად მიიღოთ ის ცვლილებები, რომელსაც მხარს უჭერს მხოლოდ ერთი პარტია საქართველოში“, — აღნიშნა ბაქრაძემ.

...რომ ვთქვათ, ხვალ აფხაზეთს ვიბრუნებთო, „ნაციონალური მოძრაობა“ მაინც გავა დარბაზიდან!

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრ სოზარ სუბარის შეფასებით, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კონსენსუსი შეუძლებელია. ოპოზიციის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესისთვის ბოიკოტის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო კომისია იყო ისეთი მრავალმხრივი, როგორიც არასდროს ყოფილა.

„როცა გყავს „ნაციონალური მოძრაობა“ დარბაზში, კონსენსუსის მიღწევა რაიმე საკითხზე, ჩემი აზრით, შეუძლებელია. რომ ვთქვათ, რომ ხვალ აფხაზეთს ვიბრუნებთ, „ნაციონალური მოძრაობა“ გავა დარბაზიდან — თქვენ არ უნდა დაიბრუნოთო. ამ შემთხვევაში კონსენსუსის მიღწევა არის შეუძლებელი. ინაშვილის პარტიისაც რომ გითხრათ, რომ ძალიან ღრმად მესმის, მოვიტყუები“, — განაცხადა სუბარმა. კითხვაზე, რამდენად ექნება ლეგიტიმაცია ერთი პარტიის მიერ მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, სოზარ სუბარი პასუხობს, რომ **„დარბაზში არის არა ერთი, არამედ რამდენიმე პარტია, რომელიც ერთი სიით გავიდა“.**

საკონსტიტუციო უმრავლესობას აქვს სამართლებრივი უფლება...

უმრავლესობას რადგან აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს იმას ნიშნავს, რომ აქვს სამართლებრივი უფლება იმისთვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, — განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუგოშვილმა. მისი თქმით, კონსტიტუციის შემუშავების პროცესში ბევრი რამ იყო დათმობილი.

„ნამდვილად არ არის კარგი, როდესაც სხვა პარტიები ამ განხილვებში არ იღებენ მონაწილეობას. კონსტიტუციის შემუშავების პროცესი მძიმე იყო. ბევრი კომპრომისი გახდა საჭირო, როგორც გუნდის შიგნით, ასევე ბევრი რამ იყო დათმობილი პარტიებთან მიმართებაშიც. არასამთავრობოების რეკომენდაციებით უამრავი რამ იყო გათვალისწინებული. სამწუხაროა, რომ ბოლოს მაინც მივიღეთ ის სიტუაცია, როდესაც სხდომათა დარბაზში არიან მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლები. როგორც ჩანს, ოპოზიციის მიზანი სწორედ ეს იყო. რაც შეეხება პროცესს, ის არის ლეგიტიმური. უმრავლესობას რადგან აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს იმას ნიშნავს, რომ აქვს სამართლებრივი უფლება იმისთვის, რომ მიიღის გადაწყვეტილება. სამართლებრივ ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით კითხვები არ არის. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, უმჯობესია, რომ მეტი პოლიტიკური აქტივი იყოს ჩართული პროცესში“, — განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა. საპარლამენტო ოპოზიციამ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვას პარლამენტში ბოიკოტი გამოუცხადა.

სასამართლომ სარჩელი საპატრიარქოს იურისტის წინააღმდეგ წარმოებაში არ მიიღო

თბილისის საქალაქო სასამართლომ დეკანოზ გიორგი მამალაძის სარჩელი საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას წინააღმდეგ წარმოებაში არ მიიღო.

სარჩელი ქარჩავას განცხადებას, რომლის მიხედვით, „დეკანოზმა შესაძლოა, 50 მილიონი ევრო გაათეთრა“, ეხებოდა.

„ამის გამო, პატივისა და ღირსების შელახვისთვის მიჩივლეს, მაგრამ სასამართლომ არ მიიღო სარჩელი და საინტერესოა რატომ“, — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

როგორც იურისტი აცხადებს, ეს განცხადება საპატრიარქოს ნებართვის გარეშე გააკეთა თამაშის იმ ბინძური წესების გამო, რომელსაც ეწევიან დეკანოზის უკან მდგომი ადამიანები და ე.წ.ციანიდის საქმის ორგანიზატორები.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ ტრენინგები 200-ზე მეტმა მსმენელმა გაიარა

იუსტიციის სამინისტროს ტრენინგები ქალთა უფლებებისა და ოჯახში ძალადობის თემაზე გრძელდება. სწავლების მონაწილეებს ამჯერად მარნეულის იუსტიციის სახლმა უმასპინძლა. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ტრენინგები ორენოვანია — ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე შეუძლიათ.

სლოგანით „იმოქმედე!“ იუსტიციის სამინისტრო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სოციალურ კამპანიას აწარმოებს და უფასო ტრენინგებიც მის ფარგლებში ტარდება. სოციალური კამპანიის მიზანია მოქალაქეების ინფორმირება და ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების გააქტიურება. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა კამპანიის პრეზენტაცია მიმდინარე წლის თებერვალში გამართა.

კამპანიის მიზანი საქართველოს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებაა იმ სიახლეების შესახებ, რომელთაც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონთა პროექტი განსაზღვრავს. ტრენინგების შედეგად მოქალაქეებს ექნებათ სრული ინფორმაცია, თუ რას ითვალისწინებს კანონმდებლობა მათი უფლებების დასაცავად და რა სერვისებს სთავაზობს ძალადობის მსხვერპლთ; ეს კი მათ საშუალებას მისცემთ, უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები და, საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული დახმარებით. უფასო ტრენინგებზე მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც გაივლის რეგისტრაციას შემდეგ მისამართზე: http://tcj.gov.ge/ka/news/378//.

ᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲣᲡᲯᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲔᲜ!..

20-21 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲟᲔᲜᲔᲕᲘᲡ საერთაშორისო მოლაპარაკებების მე-40 რაუნდი შედგა. გაიმართა ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც მოლაპარაკებების მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით იყვნენ წარმოდგენილი.

პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხები, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფში — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილი მდგომარება, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები. მოლაპარაკებებს თანათავმჯდომარეობდნენ ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები და ესწრებოდნენ მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ისევე, როგორც ცხინვალისა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები.

რაუნდის წინ გაიმართა არაფორმალური საინფორმაციო სესია ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე თავისუფალი გადაადგილებისა და კონტაქტების არსებული გამოცდილების შესახებ, რომლის დროსაც განხილულ იქნა კვიპროსის წარმატებული მაგალითი. მოწვეულმა ექსპერტმა მოლაპარაკებების მონაწილეებს გააცნო, თუ როგორაა უზრუნველყოფილი თავისუფალი გადაადგილება და გაყოფილ საზოგადოებებს შორის კომუნიკაცია კვიპროსში. ექსპერტმა მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა ასევე სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, განათლების, ეკონომიკის, კულტურულ მემკვიდრეობისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე კუნძულის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის პრაგმატული თანამშრომლობის შესახებ.

ორივე სამუშაო ჯგუფში ქართველმა მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით შექმნილი მდგომარეობა.

საქართველოს წარმომადგენლებმა კვლავ მწვავედ დააყენეს რუსეთის ანექსიის პოლიტიკის შედეგები, რაც გამოიხატება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სივრცეში ეტაპობრივ ინტეგრაციაში. მათ შორის აღინიშნა ცხინვალის რეგიონში ე.წ. რეფერენდუმისა და ადგილობრივი სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანების თაობაზე ე.წ. შეთანხმების ხელმოწერა. მონაწილეებმა საქართველოდან ხაზი გაუსვეს, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ყოველდღიურად ხდება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობების დარღვევა. კერძოდ, საქართველოდან სამხედრო ძალების გაყვანის შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად, რუსეთი, პირიქით, აძლიერებს სამხედრო ყოფნას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. რეგულარული ხასიათი აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო წვრთნებსაც, რაც ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენებით მუქარის მკაფიო გამოხატულებაა.

ამ ფონზე საქართველოს წარმომადგენლებმა აღნიშნეს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურების მნიშვნელობა. ხაზი გაუსვეს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. აღნიშნულ თემებზე გაიმართა საგნობრივი დისკუსია, რომლის შედეგადაც მონაწილეები შეთანხმდნენ, გაგრძელონ მუშაობა ერთობლივი განცხადების მიღების მიზნით.

ინტენსიური განხილვის საგანს წარმოადგენდა საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების გავლების, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვისა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის მძიმე შედეგები. მონაწილეებმა საქართველოდან აღნიშნეს, რომ ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები ერგნეთის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე წინასწარ ახმოვანებენ ავლევის, ორჭოსანისა და წითელუბნის სოფლებში დამატებითი ხელოვნური ბარიერების აღმართვის გეგმებს. მოუწოდეს თანათავმჯდომარეებს, აშშ-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს პრევენციული ზომების მიღებისკენ. საქართველოდან მონაწილეებმა დააყენეს ასევე საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებისა და გატაცებების მავნე პრაქტიკა და მოუწოდეს მონაწილეებს, კვიპროსის მაგალითის მსგავსად, პრაგმატული გზები გამოიძებნოს თავისუფალი გადაადგილების ფუნდამენტური უფლების უზრუნველსაყოფად.

ყურადღება დაეთმო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აუცილებლობას. მონაწილეებმა საქართველოდან დაგმეს ცხინვალში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის გეგმები, გალის მსგავსად, ახალგორის სკოლებშიც შეზღუდონ მშობლიურ ენაზე სწავლება, რაც ნეგატიურ ასახვას ჰპოვებს ბავშვების განათლების ხარისხზე. ქართველმა მონაწილეებმა თანათავმჯდომარეებს, აშშ-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სთხოვეს ქმედითი ზომების მიღება მსგავსი სცენარის განვითარების აღკვეთის მიზნით.

განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა გიგა ოთხოზორიას მკვლელის მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის აუცილებლობა, რაზეც მკაფიო პოზიცია გამოხატეს თანათავმჯდომარეებმა, თანამოდერატორებმა და აშშ-ის წარმომადგენლებმა. ჟენევის მოლაპარაკებებისა და გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ქართველი მონაწილეების კონსტრუქციული თანამშრომლობის პასუხად, რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის უპასუხისმგებლო პოზიცია რაშიდ კანჯი-ოღლის მიმართ კიდევ უფრო აძლიერებს დაუსჯელობის სინდრომს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში და ახალისებს ძალადობას ეთნიკურ საფუძველზე.

მონაწილეებმა ისაუბრეს ეკოლოგიურ გამოწვევების საპასუხოდ გაწეული ერთობლივი ძალისხმევის შესახებ, როგორც პრაგმატული და წარმატებული თანამშრომლობის მაგალითზე, განიხილეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მძიმე მდგომარეობა. მონაწილეებმა იმსჯელეს მათი გადარჩენისთვის ერთობლივი ნაბიჯების შემუშავებაზე.

თანათავმჯდომარეებმა, თანამოდერატორებმა და მონაწილეებმა აღნიშნეს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის განხილვის მნიშვნელობა. თუმცა ამ თემაზე დისკუსიის დაწყებისთანავე რუსეთის ფედერაციისა და საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა დატოვეს მოლაპარაკების დარბაზი. მსგავსი უპასუხისმგებლო მიდგომა კიდევ ერთხელ ადასტურებს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მანდატისა და სამშვიდობო პროცესების მიმართ მოსკოვის დამოკიდებულებას.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი 2017 წლის 10-11 ოქტომბერს გაიმართება.

ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲥᲣᲗᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ 400-ᲛᲓᲔ ᲓᲔᲕᲜᲘᲚ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მთავრობის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი სახლი საკუთრებაში კიდევ 400-მდე დევნილ ოჯახს გადაეცემა. დევნილები ბინებს თბილისში, ბორჯომში, ფოთში, ზუგდიდსა და ახალციხეში მიიღებენ.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე აღნიშნა, ბოლო წლების განმავლობაში მთავრობამ საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში 15 ათასამდე დევნილ ოჯახს გადასცა და ეს პროცესი გრძელდება.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ადამიანებს შევუქმნათ შეგრძნება, რომ, პირველ რიგში, მათ ექნებათ მუდმივი ჭერი და ეს იქნება მათი საკუთრება, მაგრამ ასევე მინდა ვთქვა, რომ არც ერთ ჩვენგანს არ ეპარება ეჭვი, რომ ეს არ იქნება მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ყველას გვაქვს ამის იმედი და არა მხოლოდ იმედი, არამედ, ძალიან ბევრს ვმუშაობთ იმისთვის, რომ ეს პრობლემა გადაწყდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ შევძლებთ, აფხაზების დაბრუნებას, ოსების დაბრუნებას და შევძლებთ იმასაც, რომ საქართველო აუცილებლად გაერთიანდება“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ „ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲨᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 204 პროექტია მხარდაჭერილი, რომელთა რიცხვს კიდევ ერთი კომპანია, შპს „უვ პრინტი“ შეემატება.

შპს „უვ პრინტი“ 2017 წელს დაარსდა, თუმცა დამფუძნებლებს 10-წლიანი გამოცდილება აქვთ ფართოფორმატიანი ნაბეჭდი პროდუქციის წარმოებაში. ამჟამად კი, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით კომპანია ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ინტერიერისა თუ ექსტერიერის გასაფორმებლად ნებისმიერი სახის ზედაპირებზე ფართო ფორმატით შესრულებული ნაბეჭდი პროდუქციის წარმოებას შეძლებს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ საწარმოს ამოქმედების პირველ ეტაპზე, კომპანია 15 ადამიანს დაასაქმებს და შეძლებს, აწარმოოს სხვადასხვა სახის შესაფუთი მასალები გოფრირებული ქაღალდისა ან გოფრირებული მუყაოსაგან, მაღალხარისხიანი ნაბეჭდი რეპროდუქციები, სანათების მოწყობილობები და ა.შ. ამასთანავე, კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მაღალხარისხიან ბეჭდვას, როგორც მინის ასევე კერამიკულ ნაწარმზე.

შპს „უვ პრინტი“, რომელიც 2017 წლის ბოლოს გეგმავს, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერით სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სსიპ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს. სააგენტოს დახმარებით განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 430 000 ლარს შეადგენს.

ᲨᲨᲛ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ!

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ამის შესახებ, სახალხო დამცველმა შშმ პირთა შესახებ ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

„მდგომარეობა, პრაქტიკულად, არ შეცვლილა, ის გამოწვევები, რაც არსებობდა, კვლავ არსებობს. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კვლავ არის ის, რომ არ არსებობს შშმ პირთა უფლებების გაეროს კონვენციის აღსრულების ეფექტური მექანიზმი, საქართველო შეუერთდა ამ კონვენციას, მაგრამ მისი აღსრულება არ ხდება“, — აცხადებს უჩა ნანუაშვილი. მისივე თქმით, კვლავ პრობლემაა ამ მოქალაქეების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და ისინი იზოლაციაში არიან საზოგადოებისგან.

„პრობლემები არსებობს, როგორც ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით“, — აცხადებს უჩა ნანუაშვილი. სახალხო დამცველი ჯანდაცვის, განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს პრობლემების აღმოფხვრისკენ მოუწოდებს.

ინვესტორი თუ სახელმწიფო?



ხუდონჰესის ინვესტორს პროექტში 20 მილიონ დოლარამდე აქვს ჩადებული

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ილია ელოშვილის ინფორმაციით, ხუდონჰესის ინვესტორს პროექტში 20 მილიონ დოლარამდე აქვს ჩადებული. თუმცა, ამას გადამოწმება სჭირდება. ამის შესახებ ილია ელოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო „ტრანს ელექტრიკასთან“ აუდიტის პირობების მოლაპარაკებების პროცესშია. საუბარია ხუდონჰესის პროექტიდან ინვესტორის გაყვანასა და ელექტროსადგურის სახელმწიფოს მიერ მშენებლობაზე.

ელოშვილი ვარაუდობს, რომ 6 თვიდან 1 წლამდე ვადაში მთავრობა საბოლოოდ ჩამოყალიბდება პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით და შედგება მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთანაც.

ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ ჯერ კიდევ გასულ თვეში განაცხადა, რომ ხუდონჰესთან დაკავშირებით ინვესტორთან მოლაპარაკებები უახლოეს მომავალში დასრულდება და მიღწეული შეთანხმების შესახებ საზოგადოებას ეცნობება.

მისივე თქმით, ხუდონის ელექტროსადგური თავისი სიმძლავრითა და სიდიდით ქვეყანაში მეორე პროექტი იქნება და ის მნიშვნელოვანია როგორც ენერგეტიკული, ისე სოციალური თვალსაზრისით:

„პროექტი მნიშვნელოვანია ორი მიმართულიებით: ენერგეტიკული თვალსაზრისით, რადგან გვექნება იმის შესაძლებლობა, რომ დამატებით მივიღოთ ელექტროენერგია და ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან მშენებლობის დროს 2000 ადამიანი დასაქმდება და სამუშაოების დასრულების შემდეგ მუდმივი სამუშაო ადგილები შეიქმნება“, — განაცხადა კახი კალაძემ.

19 აპრილს კი კალაძემ განაცხადა, რომ მთავრობაში ხუდონჰესის ინვესტორისთვის ჩამორთმევის საკითხი განიხილება. მისი თქმით, პროექტის განხორციელება შესაძლოა, სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღოს.

შეგახსენებთ, რომ ხუდონჰესის პროექტი ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და შემდეგ გაიყინა, ჯერ — ქართველი „მწვანეების“, ხოლო შემდეგ — სსრკ-ის დაშლის შემდეგ ქვეყანაში სახსრების უკმარისობის გამო. პროექტის თანახმად, ჰესი მდინარე ენგურზე, საქართველოს უმსხვილეს ელექტროსადგურ ენგურჰესზე 30 კმ-ით ზემოთ უნდა განთავსდეს და არა მარტო მთლიანად გადაჭრას საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი, არამედ უზრუნველყოს დენი გამომუშავება საექსპორტოდ. საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის მშენებლობაზე უკვე დაიხარჯა დაახლოებით 150 მლნ დოლარი. ახალი პროექტის ჯამური ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკას 1 მლრდ დოლარზე მეტს მოუტანს.

ქართული ზღვის თევზი ევროკავშირის ბაზრისკენ მიცურავს

ევროკავშირმა საქართველო დაამატა მესამე ქვეყნების იმ ჩამონათვალს, საიდანაც შესაძლებელია ევროპის ბაზარზე შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტების შეტანა, — განაცხადეს სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ლევან დავითაშვილმა** და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, მატყლისა და თაფლის შემდეგ, ქართული ზღვის თევზი მესამე ცხოველური პროდუქტია, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე გავა.

ქართული თევზის მწარმოებელი კომპანიები თევზისგან — ძირითადად ქაფშიასგან — თევზის ფქვილსა და თევზის ზეთს აწარმოებენ, ადგილობრივი ბაზრისთვის კი მცირე რაოდენობით ადამიანების საკვებად განკუთვნილი თევზის ცოცხალი სახით რეალიზაციასაც ახორციელებენ. ქართული

თევზის ფქვილი, რომლისგანაც ძირითადად თევზის კომბინირებული საკვები მზადდება, პროტეინების მაღალი პროცენტული შემცველობით გამოირჩევა და მასზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა იყო, თუმცა აქამდე საქართველოში წარმოებული თევზის ფქვილი და ზეთი მხოლოდ თურქეთში იყიდებოდა.

საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ზღვის თევზის ექსპორტის უფლება 5-მა კომპანიამ მოიპოვა. ქართულმა მხარემ ევროკომისიაში განაცხადი მესამე ქვეყნების სიაში საქართველოს შეყვანის მიზნით ჯერ კიდევ 2014 წელს წარადგინა. ამის საფუძველზე, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სისტემის, ასევე, ევროკავშირში საექსპორტოდ განკუთვნილი თევზისა და თევზის პროდუქტების წარმოების ადგილზე აუდიტის განსახორციელებლად, საქართველოში ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის აუდიტორ-ინსპექტორები იმყოფებოდნენ. ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან თავსებადობის უზრუნველყოფისა და ვეტერინარული კონტროლის ამაღლების შემდეგ შესაძლებელი გახდა საქართველოში წარმოებული თევზისა და მისი პროდუქტების ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირება.

როგორც ვებგვერდის „ევროპა საქართველოსთვის“ მკვლევარი ზურაბ მოდებაძე ამბობს, ევროკავშირის ბაზარზე თევზისა და მისი პროდუქტების მწარმოებელი ქართული საწარმოების გასვლა, ფინანსური მოგების გაზრდის გარდა, იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს მიმართ ინტერესი და აქ ახალი საწარმოების გახსნის სურვილი უცხოელ ინვესტორებშიც იზრდება.

„ერთ-ერთი კომპანია 15 მილიონის ინვესტირებას გეგმავს და მოლაპარაკებები აქვს ლიცენზიატებთან. ისინი აპირებენ აწარმოონ არა მხოლოდ იაფი პროდუქტები — თევზის ფქვილი და ზეთი, არამედ ადამიანების საკვებად გამოსადეგი თევზის ფილეც, რაც, მათი მტკიცებით, მეტ ღირებულებას შესძენდა ამ წარმოებას, თუ ეს საწარმო დაფუძნდებოდა საქართველოში ფრანგების, იტალიელებისა და ჩეხების მონაწილეობით. მათ ამის გარკვეული იმედიც აქვთ “, — განაცხადა ვებგვერდის „ევროპა საქართველოსთვის“ მკვლევარმა ზურაბ მოდებაძემ რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში.

სასათბურე კომპლექსები მზის ბატარეებით

შემოდგომისთვის წყალტუბოში ჩინეთის მთავრობის დახმარებით მეორე სასათბურე კომპლექსი აშენდება.

როგორც „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ დირექტორმა **ლევან უჯმაჯურიძემ** განაცხადა, სათბური თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება, მათ შორის, მზის ბატარეებით, რაც ზამთარში გათბობის ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა.

„მსგავსი სასათბურე კომპლექსი, რომლის მშენებლობა ჩინეთის მთავრობამ დააფინანსა, უკვე ფუნქციონირებს მარნეულში. განთავსებულია 5 ჰა-ზე და მოიცავს 7 დიდ და 25 პატარა სათბურს. ისიც მზის ენერგიის გამოყენებაზეა ორიენტირებული, თუმცა, შედარებით იაფი საშუალებით. აშენებულია პანელი, აგურის კედელი, რომელიც მზეზე თბება, შემდეგ კი თავად არის გათბობის წყარო“, — აღნიშნა უჯმაჯურიძემ.

აღნიშნული სათბური საქართველო-ჩინეთის ერთობლივი ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში აშენდა, რაშიც ჩინურმა სახელმწიფო კომპანია „ჰუნანიმ“, დაახლოებით, 4 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. სათბურის ბაზაზე ადგილობრივ ფერმერებს და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, დახურულ გრუნტში ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებს ასევე მზის სათბურების მშენებლობის სპეციფიკას და მართვას გაეცნონ.

„ამ პროექტის ფარგლებში უკვე მე-12 სწავლების კურსი ჩავატარეთ და 600-მდე ქართველმა ფერმერმა გადამზადება უფასოდ გაიარა, 70 — ჩინეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაემგზავრა“, — აღნიშნა ლევან უჯმაჯურიძემ.

მისი თქმით, სექტემბრისთვის ჩინური კომპანია მარნეულის სათბურს სამართავად ქართულ მხარეს გადმოსცემს. თუ რა დაუჯდება კომპლექსის მართვა და შენახვა სახელმწიფოს, ცენტრში არ აკონკრეტებენ.

აჭარის ბრენდულ სასტუმროებში ადგილების 70 პროცენტი უკვე დაჯავშნილია

აჭარაში ზაფხულის ტურისტული სეზონი ოფიციალურად 9 ივნისს გაიხსნა. რეგიონის ბრენდულ სასტუმროებში კი ტურისტული ნაკადის აქტივობა უკვე ფიქსირდება. სასტუმროებში ადგილების 40-70% უკვე დაჯავშნილია.

სასტუმრო „რედისონ ბლუ ბათუმის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის მენეჯერი საღომე წოწორია განმარტავს, რომ ნომრების 70 პროცენტი უკვე დაჯავშნილია. მისი განმარტებით, სტუმრების ძირითად ნაწილს რუსები, უკრაინელები, ისრაელელები, აზერბაიჯანელები, სომხები და თურქები შეადგენენ.

ჰილტონ- ბათუმის მარკეტინგის სპეციალისტი **თეონა დუმბაძე** აცხადებს, რომ ამ დროისთვის ტურისტული აქტივობა უკვე დაწყებულია, სტუმრების 40 პროცენტს კი უცხოელი ვიზიტორები წარმოადგენენ. მათ შორის არიან ისრაელიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან.

როგორც დუმბაძე განმარტავს, უკვე არის წინასწარი ჯავშნებიც, რომელიც წლის ანალოგიური პერიოდის იდენტურია.

ქობულეთში მდებარე სასტუმრო „ჯორჯია პალასის“ პიარ მენეჯერი **რუსუდან ცეცხლაძე** განმარტავს, რომ წლების გასვლასთან ერთად სასტუმროს დატვირთულობა იმატებს. **„არიან როგორც ქართველები, ისე უცხოელები. მათ შორის, რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ჯავშნები არის, უფრო მეტად დატვირთულია შაბათ-კვირა. ტურიზმი საქართველოში ფეხს იკიდებს, განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთში. ამ მხრივ მუშაობა დადებითად მიდის. როგორი იქნება შედეგები, ამას სეზონის ბოლოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გამოაქვეყნებს“.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით, აჭარა ზაფხულის ტურისტულ სეზონს სიახლეებით ხვდება. 2017 წლის ტურისტულ სეზონზე სტუმრებს რეგიონში ახალი სასტუმროები, განახლებული საპლაჟო ინფრასტრუქტურა, გაზრდილი საჰაერო ფრენები და მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტები დახვდებათ.

უმადურობა ცოდვაა, ხოლო ისტორიული უმადურობა – უპატიებელი ცოდვა...

წინამდებარე წერილის შექმნა, „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა.წ. 10 იანვრის ნომერში სასოწარკვეთილი რუბრიკით, „სანამ იმპერია არსებობს“, მათემატიკის აკადემიური დოქტორის ირაკლი ბოკუჩავას ავტორობით გამოქვეყნებულმა, უკაცრავად პასუხია და ბოდვამ, სათაურით, „არა განაძღო“, განაპირობა!

თუმცა, პასუხის გაცემა მიზეზთა გამო დამიგვიანდა, მაგრამ ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

დიახ, ბოდვამ, რადგანაც ძნელია უვიცობიდან შობილი სიცრუით, რუსეთისადმი ბოღმით, ღვარძლითა და სიძულვილით გაჟღენთილ პასკვილს, ბოდვის გარდა, სხვა რამ უწოდო!

„ჯერ რომანოვების და შემდეგ, საბჭოთა იმპერიის დროს, რუსეთის ნებართვის გარეშე საქართველოში „ჩეჩმასაც“ კი ვერ დადგამდიო“...

ეს სისულელეც ბატონი ირაკლის მსგავსი უმადურების მოგონილია!

ვიცი, გამიძნელდება ირაკლი ბოკუჩავას „ბრძნული აზრების“ სამყაროში გარკვევა, მაგრამ მაინც შევეცდები, დალაგებული პასუხი გავცე პუბლიცისტებში ყველაზე მაგარი მათემატიკოსის და მათემატიკოსებში ყველაზე მაგარი პუბლიცისტის აბრაკადაბრას!..

თურმე, ნუ იტყვით და ჩვენმა უცხოელმა კოლეგებმა არ იციან, რუსის სახით ვისთან გვაქვს საქმე! **დასავლეთში — „არავის სცალია ისტორიულ ანალებში ქექვისა და მტყუან-მართლის ძიებისთვის“ და იქვე — „დადგა დრო, რომ ამიერკავკასიაში ქართველების შემოთესლილი ჭირი, ქართველებმავე გავაძევოთ“...**

...„ის, რაც ქვემოთაა მოთხრობილი, იცის ყველა ქართველმა და არ იცის არც ერთმა უცხოელმა“!

ვერაფერს იტყვი, მაგარი დასაწყისია!

ეს მართლაც ახალი სიტყვაა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში!

რუსეთი, რომლის სამხედრო ძლიერებასაც ბადალი არ ჰყავდა მაშინდელ ევრაზიაში (არც ახლა ჰყავს), თურმე ქართველებს შემოგვითესლებია ამიერკავკასიაში!..

ეტყობა, მართლაც უექვია ირაკლი ბატონს, თორემ ასეთი სიბრძნის მიგნება არ გინდა?

ქექვა და, მით უმეტეს, ფხანა, ბევრი რამის შეიძლება...

ამიტომ, არ ავყვები ავტორს ასეთ ბრიყვულ შეფასებაში და მისი ბოლო გამონათქვამის პერიფრაზს შემოგთავაზებთ:

ის, რასაც ქვემოთ მოგითხრობთ, იცის ყველა წიგნიერმა ქართველმაც და უცხოელმაც, მაგრამ არ იცის პუბლიცისტიკაში მათემატიკიდან შემოსეტეტულმა ბოკუჩავამ!

ამიტომ ბატონ ირაკლის და მის მსგავს რუსოფობებს დიდი ქართველი მამულიშვილის ციტირებით გავცემ პასუხს...

„ოც საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო“ — წერდა თერგდალეულთა აღიარებული ბელადი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

„რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა, მშვიდობისა და პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი იყო“. მას წარმოუდგენლად მიაჩნდა თავისი სამშობლოს განვითარება რუსეთთან ძმური კავშირის გარეშე.

ამ მხრივ გამოირჩევა სტატია „ასის წლის წინათ“ (1899 წ.), რომელშიც იგი მიმოიხილავს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, დაწვრილებით აღწერს, თუ რა საყოველთაო სიხარული გამოიწვია საქართველოში რუსეთის მხედრობის შემოსვლამ, რა საზეიმოდ მოირთო თბილისი იმ ისტორიული დღისთვის — 1799 წლის 26 ნოემბრისთვის.

ახლა ქექვაში დახელოვნებული ბატონი დამამუნათებს — ილია არ იყო, ლელთ ღუნიას პირით რომ გვითხრა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“?..

თუმცა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვა თერგდალეულები, ისევე, როგორც ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ერთსულოვანნი იყვნენ. ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის მიმართ, რადგან მასთან იყო დაკავშირებული საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. „რუსეთის საკითხი“ მათ აინტერესებდათ არა განყენებულად, არამედ თავის სამშობლოს ბედთან დაკავშირებით. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, საქართველოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს.

რაც შეეხება ბატონ ირაკლის ევროპის მოიმედეობას, ნიკო ნიკოლაძეს მოვუხმობ... აი, რას წერდა იგი ჯერ კიდევ 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში“: **„საქართველო რუსეთთან კავშირში უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებისაც საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არის“.**

1783 წლის ივნისს ქართველოსტიფინი
ერეკლე II-ის ელჩებმა
ტფილისში
ხელი მოაწერეს
ტრაქტატს
„ეროვნული
ერთიანობა
ერეკლეს
ეროვნული
ერთიანობა
ეროვნული
ერთიანობა
ეროვნული
ერთიანობა

ვანო სარაჯიშვილი – ღვთაებრივ ქცეული ორფეოსი

ტანად მაღალი, სპორტული აღნაგობის, მოუსვენარი და მთრთოლვარე, სიმივით დაჭიმული, რომელიც შეხებისთანავე მუსიკალურ ხმას გამოსცემს, სახე შავგვრემანი, სანდომიანი, მოხდენილი; დიდი და ნათელი თვალები, ზოგჯერ ნაღვლიანი; უცნაური ღიმილით; ყელმოღერებული, გვერდზე გადახრილი ხუჭუჭთმიანი თავით; ერთი ხელი წინ გაწვდილი, მეორე კი მკერდს ჩაჭიდებული, თითქოს უნდა გული მოიგლიჯოს და მაყურებელს ესროლოსო. ასეთი იყო გარეგნულად. შინაგანად კი: არტისტული ბუნების, გარდასახვის უნიკალური თვისებებით შემკული; მისი ყოველი ბგერა მზის სხივივით ანათებდა, ათბობდა, რომელიც აღბეჭდილი იყო ხან სისხლსავსე ცხოველმყოფელი ფერებით, ხან ნაზი და ფერმკრთალი საღებავებით; ყოველი მისი ნამღერი გულის სიღრმიდან მოდიოდა და ადამიანის გულსავე სწვდებოდა; მის სიმღერას არასოდეს ახლდა ყალბი, უშინაარსო, არაფრისმთქმელი ნოტი, იგი ყოველთვის იყო შინაგანი ტემპერამენტით სავსე, ინტუიციის მქონე, ინდივიდუალური შემსრულებელი, რა დროსაც უპირატესობას ანიჭებდა ფართოდ გაშლილ ფილიგრანულ კანტილენურ ფრაზირებას; ბუნებისგან ნაბოძები ჰქონდა იდეალური მუსიკალური სმენა. ხმა მისი — ჟღერადი ლირიკო-დრამატული ტენორი; ტემბრი — ჰაეროვანი, სხივოსანი, მოალერსე, ზოგჯერ მჩქეფარე, გამჭოლი, ობერტონებით მდიდარი, მასში იყო რაღაც განუმეორებელი სურნელება, რაც მხოლოდ მას და მხოლოდ მას ახასიათებდა. თავისი მგრძნობიარე ბუნების წყალობით სრულიად იზიარებდა მოქმედი გმირის სულიერ სამყაროს და ამ მომენტში არც კი ახსოვდა, რომ ვანო სარაჯიშვილია და არა აბესალომი, რადამესი, ნადირი, ხოზე, რაული თუ სხვა; მთელი თავისი არსებით ჩართული იყო შემოქმედებით ექსტაზში და ამ დროს უყურებდით მის თითქოს გაფითრებულ სახეს, მილულულ თვალებს, მისი ცხოვრების რეალობა იმ წამს მხოლოდ მუსიკად რომ გადაქცეულიყო.

აი, არასრული პორტრეტი „საქართველოს ბულბულად“ შერაცხილი ვანო სარაჯიშვილისა.

ვანო სარაჯიშვილი! როგორი შინაგანი სიამაყით განაწყობს და აღავსებს ეს სახელი ქართველ კაცს. მან ერთ-ერთმა პირველმა გვაგრძნობინა ქართული მადლიანი სიტყვის ეშხი და სილამაზე სიმღერაში. ჯადოსნური ჰანგით ააჟღერა და ადამიანებს შინაგანად დაუოკებელი ემოციის განცდით მიაწოდა. იგი ხალხის თვალში, უფრო კი გულში, ხელოვანის სიავკარგის საზომად იყო გადაქცეული. მისთვის შეგეძლოთ დაუსრულებლად გესმინათ, რადგან მის მდიდარ ვოკალურ შესაძლებლობებს ყოველთვის მონუსხული ჰყავდა მაყურებელი.

ვანო სარაჯიშვილი დაიბადა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქ სიღნაღში 1879 წლის 1 მაისს, პეტრე სარაჯიშვილის მრავალშვილიან ოჯახში. ვანო პეტრეს მეთერთმეტე შვილი იყო. პატარა ვანომ სიმღერა თითქმის ლაპარაკთან ერთად ისწავლა. უკვე 6 წლის გამოცდილი ვაჟკაცივით ასრულებდა რთულ ხალხურ სიმღერებს. გალობდა ეკლესიაში ალექსანდრე ჩახნაშვილის გუნდში.

1887 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ სარაჯიშვილთა ოჯახი თბილისში გადმოსახლდა. მომდევნო წელს ვანო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც სიმღერის გუნდს სათავეში ედგა ნიჭიერი ლოტბარი ზაქარია ჩხიკვაძე. ვანო ამ გუნდში გაწევრიანდა და თავისი მომაჯადოებელი ხმითა და უბადლო მუსიკალურობით საინტერესო წარმატებებს მიაღწია. სულ მალე ზაქარია ჩხიკვაძემ იგი თავის თანაშემწედ აიყვანა. გუნდს ხანდახან ვანო დამოუკიდებლადაც კი ლოტბარობდა. გიჟმაჟი ვანო მთელი გიმნაზიის სული და გული იყო. სადაც კი გაჩნდებოდა, იქ იმწამსვე ჟღერდა შესანიშნავი ხალხური სიმღერები. 1891 წელს იგი ტოვებს გიმნაზიას, თუმცა სიმღერასთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია. თავის ძმა გიორგისთან ერთად ვანო კარგა ხანს მღეროდა ლადო აღნიაშვილის მიერ დაარსებულ ხოროში, რომელსაც იოსებ რატილი ლოტბარობდა.

1897 წელს მას უკვე ცნობილი ლოტბარის სანდრო კავსაძის გუნდში ვხედავთ. აქ იგი ჯერ ბანის, შემდეგ კი ტენორის ხმაზე მღეროდა. 1898 წელს ვანო თბილისის სამუსიკო სასწავლებლის ჩელოს კლასში ჩარიცხეს, სადაც მისი ბიძაშვილი ჩელოს დაკვრის პირველი ქართველი პროფესიონალი პედაგოგი, პროფესორი ივანე სარაჯიშვილი ასწავლიდა. ვანომ აქ ჯერ პროფესორ ტალენტთან და დუბინსკისთან, შემდეგ კი პროფესორ ბურიანთან განაგრძო მეცადინეობა. წარმატებას მალე მიაღწია, რასაც ღია კონცერტებზე ჩელოზე მის მიერ შესრულებული ნაწარმოებების სირთულეც ადასტურებს. სასწავლებელში იგი დაუმეგობრდა შემდგომში ცნობილ ქართველ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს. პარალელურად ვანო თავის და-ძმებთან ერთად ხშირად გამოდიოდა ავჭალის აუდიტორიის წინაშე, სადაც შალვა დადიანი სარეჟისორო საქმიანობას ეწეოდა.

სულ მალე ნიჭიერმა მომღერალმა თბილისის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მას ბევრი სერიოზული მუსიკალური განათლების მიღებას ურჩევდა, ვანოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა მისი პირველი პედაგოგი ვოკალში გიორგი მაჩაბელი, რომელსაც მუსიკალური განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. მისი ტალანტის უამრავი თაყვანისმცემელი დასტრიალებდა თავს, თუმცა მისი ახლობელი, ცნობილი მეწარმე და მეცენატი დავით სარაჯიშვილი არასერიოზულად უყურებდა და არ მოსწონდა სიმღერით ვანოს გატაცება, მაგრამ როცა თაყვანისმცემლებსა და რეკომენდატორებს მისი სიმღერით მოხიბლული ჩვენი დიდი მამულიშვილი ილია ჭავჭავაძეც შეემატა, გადაწყდა ვანოსთვის პეტერბურგში მუსიკალური განათლების მისაღები სტიპენდიის დანიშვნა.

1903 წლის შემოდგომაზე ვანო სარაჯიშვილი პეტერბურგის კონსერვატორიის სტუდენტი ხდება. აქ იგი ჯერ პროფესორ პრიანიშნიკოვთან, შემდეგ კი პროფესორ პანაევა-კარცევასთან სწავლობდა. იმხანად იგი საკმაო წარმატებით მოღვაწეობდა კონსერვატორიის თეატრსა და სახალხო სახლში. 1905 წელს ვანო პეტერბურგში განთქმულმა ანტრეპრენიორმა, აკაკი წერეთლის ვაჟმა ალექსიმ „ახალი ოპერის“ შესანიშნავ დასში მიიწვია; 1906 წელს იგი უკვე იტალიურ დასში აღმოჩნდა, სადაც ბრწყინვალე მომღერლები: ვაიდა კარალევიჩი, ტიტა რუფო, ევგენი გირალდონი და შალიაპინი მღეროდნენ. იტალიელები მოხიბლულები იყვნენ ვანოს იშვიათი ნიჭით, მუსიკალური ალღოთი და სასიმღერო ოსტატობით.

1906 წლის 12 ოქტომბერს ვანო სარაჯიშვილი წარსდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ოპერა „ტრავიატაში“. დარბაზში ტევა არ იყო. სპექტაკლმა უდიდესი წარმატებით ჩაიარა. გაზეთი „კავკაზი“: **„...თუმცა თბილისში ბლომად არიან ძველი იტალიური მუსიკის ამაყი თაყვანისმცემელნი, მაგრამ ამით როდი აიხსნება ამ სპექტაკლზე ხალხის განსაკუთრებული მოზღვავება. ხალხი მოიზიდა ალფრედის პარტიის შემსრულებელმა ვანო სარაჯიშვილმა. ამ ახალგაზრდა მსახიობს თითქმის ზღაპრულ მომავალს უწინასწარმეტყველებენ... თავისი ლამაზი ხმითა და სიმღერის საუცხოო, იტალიური მანერით, თავისი გულწრფელი გატაცებით აღტაცებაში მოვყავართ... დიდი კმაყოფილებას გვგვრის „ტრავიატაში“ მისი მქუხარე, დიდმნიშვნელოვანი წარმატება“**. ვანოს სიმღერამ გამაოგნებელი შთაბეჭდილება დატოვა.

იმავე წლის 20 ოქტომბერს, სარაჯიშვილი ჰერცოგის პარტიას მღერის ვერდის ოპერა „რიგოლეტოში“. ამჯერად უფრო მეტი წარმატება ხვდა წილად. მაყურებლის მოთხოვნით ოთხჯერ გაამეორებინეს ცნობილი არია. ორივე საოპერო პარტია ვანომ იტალიურ ენაზე შეასრულა. ათეული წლების მანძილზე ჩვენი მომლოდინე საზოგადოება ქართველი მომღერლის გამოჩენას ხარბად მოწყურებული და უდიდესი ინტერესით შეხვდა. ეს ამბავი მთელ საქართველოს მოედო. „რიგოლეტოსა“ და „ტრავიატას“ გარდა, ვანო „ევგენი ონეგინსა“ და „ფაუსტშიც“ გამოვიდა. ეს მართლაც ტრიუმფალური სპექტაკლები იყო. მოჯადოებული საზოგადოება ცალკეულ არიებს ოთხჯერ, ხუთჯერ ამეორებინებდა, რაც იშვიათ შემთხვევას წარმოაგენდა. ძველი მელომანები აღნიშნავდნენ: მაზინის შემდეგ ასეთ წარმატებას არ მოვსწრებივართო. შთაბეჭდილება მართლაც თავბრუდამხვევი იყო.

ხალხი ალაპარაკდა, გამოქვეყნდა ქართველი საზოგადოების მიმართ საყურადღებო წერილები: თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ამ იშვიათ მომღერალს. საწყენი იქნება, რომ მხოლოდ ჩვეულებრივი სვე-ბედით დაკმაყოფილდესო. დაისვა საკითხი მისი იტალიაში სასწავლებლად გაგზავნის შესახებ.

და აი, 1906 წლის შემოდგომაზე ვანო სარაჯიშვილი ჩადის მილანში და მეცადინეობას იწყებს ცნობილ პედაგოგთან მაესტრო კასტელანოსთან. მან სწრაფად აითვისა იტალიური და ფრანგული ენები. მოამზადა რამდენიმე ახალი პარტია ოპერებიდან: „მანონი“, „მარგალიტის მაძიებელნი“, „კარმენი“, „სიყვარულის ნექტარი“, „ვერტერი“, „მადამ ბატერფლაი“ და სხვა. სულ მოკლე ხანში იგი დიდი წარმატებით გამოდის ქალაქებში: მილანში, რომში, პარმაში, ვერონაში, ნიცაში, ტრიესტში, ბრიუსელში...

1908 წელს სარაჯიშვილი იტალიიდან ბრუნდება სულ სხვა ხარისხით, შესაძლებლობებით და ბელ კანტოს სასიმღერო სკოლით აღჭურვილი. მისი სახელი უკვე სულ სხვა სიმაღლეზე იყო ასული. ამიტომაც მას მთელი ქართველი საზოგადოება სულმოუთქმენლად და დიდი ინტერესით ელოდა.

იწყება ტრიუმფალური გამოსვლები საქართველოში, რუსეთის ქალაქებში, ბაქოში. მიუხედავად არაერთი შემოთავაზებისა, ვანო სარაჯიშვილი რჩება თავის სათაყვანებელ საქართველოში. ცდილობს, რომ თავის მიწას, თავის ხალხს არ მოწყდეს. მოკლე-მოკლე გასტროლებით იფარგლება მეზობელ ქვეყნებში.

მისი სახით ქართულ სცენას მოევლინა ახალი შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საოპერო მომღერალი, რომლის ძარღვებში უაღრესად დახვეწილი, ტემპერამენტიანი, ეროვნული ინტერესების მატარებელი და პატრიოტი ქართველი ინტელიგენტის სისხლი სჩქეფდა. აქედან გამომდინარე, სარაჯიშვილი ითვლება როგორც ნოვატორი ქართულ საოპერო ხელოვნებაში და ეროვნული სიმღერის ესთეტიკის ფუძემდებელი. მან იტალიურ ვოკალურ სკოლაზე დაამყნო ჩვენებური ჰანგის, მელოდიის სიდიადე და შექმნა ქართულ-იტალიური სინთეზური ვოკალური სტილი, ახალი ტიპის ბელ კანტო. აქედან გამომდინარე ვანო თავისი უნიკალური ტალანტით დაჯილდოებული ევროპული (ალბათ, მსოფლიო) დონისა და მიმართულების პირველი, ჭეშმარიტად ქართველი მომღერალი გახლდათ. სწორედ ამაშია მისი პიროვნული ღირსება, უდიდესი ისტორიული დამსახურება. მან პირველმა საქართველოს საზღვრებიდან შორს გაიტანა ჩვენი „ურმული“, ძველი ხალხური სიმღერები, მოახდინა ქართული მუსიკალური კულტურის დემონსტრირება უცხოეთში და ასახელა ჩვენი ქვეყანა.

„ხშირად სანამ სცენაზე გავალ, შიში მიპყრობს, ძალა აღარ მაქვს, მაგრამ საკმაოა სცენაზე გავიდე, რომ ხმაც მომივიდეს და როლშიც შევიდე. როცა ვკვდები და გული მელევა, მართლაც სიკვდილს და გულის ღელვას განვიცდი, დამთავრების შემდეგ მიხარია, რომ მართლა არ გავთავდი“, - ამბობდა ვანო.

მის სიმღერაში ერთსა და იმავე დროს ჩართული იყო სიხარული და სევდა, ვნება და სიყვარული, ტანჯვა და გმირობა. მასში იყო რაღაც ამოუცნობი, რაც თითქოს გვაახლოვებდა და გვანათესავებდა ყველა ჩვენგანს მომღერალთან.

ვანო სარაჯიშვილმა შექმნა და გამოაქანდაკა აბესალომის („აბესალომ და ეთერი“), შოთას („თქმულება შოთა რუსთაველზე“), ერეკლეს („ღალატი“), მალხაზის („დაისი“), იასონის („ქრისტინე“), თეიმურაზის („ლეილა“) დაუვიწყარი სცენური სახეები. მისი ინიციატივით მოხვდა „თავო ჩემო“ ზაქარია ფალიაშვილის „დაისში“. ვინ იცის რა ბედი ეწეოდა ქართულ ოპერებს, მთავარი პარტიები ვანოს რომ არ შეესრულებინა.

კინოფილმი „მამის მკვლელი“ ერთადერთი კინოსურათია, სადაც ვანო სარაჯიშვილის სახეა შემორჩენილი. სამწუხაროდ, ერთადერთი და ისიც მუნჯი.

1923 წლის მაისში მადლიერმა ქართველმა ხალხმა 20 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა თავის საამაყო შვილს. ვანოს იუბილემ საერთო სახალხო სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. მშობლიური კულტურის წინაშე უდიდესი დამსახურებისთვის ქართველ მომღერალთა შორის პირველს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება. დაენიშნა სახელმწიფო უზრუნველყოფა და კონსერვატორიაში დაწესდა მისი სახელობის სტიპენდია.

ბუნებით მგრძნობიარე ვანოზე უარყოფითად მოქმედბდა არასასიამოვნო მომენტები, რომელიც უხვად იყო მის სიცოცხლეში. ამას ემატებოდა მისი ბოჰემური და თავისუფალი ცხოვრება. თავს არაფერში ზოგავდა. ყველაფერმა ამან თავისი კვალი დაატყო მის ჯანმრთელობას, ავად შეიქნა და სრულიად ახალგაზრდა, 45 წლის ასაკში გარდაიცვალა 1924 წელს. დაკრძალეს ოპერის თეატრის ბაღში.

ვანო სარაჯიშვილს შთამომავალი არ დარჩენია.

„სარაჯიშვილი იგივე იყო საქართველოსთვის, რაც შალიაპინი რუსეთისთვის. მას ძველ ჰელადაში რომ ეცხოვრა, ნახევარღმერთად გამოაცხადებდნენ და მის კულტს დაარსებდნენ“ — გრიგოლ რობაქიძე.

ზოგიერთისგან შეიძლება ასეთი მოსაზრებაც მოისმინოთ: კი, ვანო დიდია, მაგრამ — რუბინი, ტამანიო, კარუზო, დე ლუჩია, მაზინი, ანსელმი და სხვა ბრწყინვალე ტენორები ხომ ვოკალური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ? კი, რასაკვირველია, ამის უარყოფა უსამართლობა იქნებოდა, მაგრამ რაც არ უნდა განუზომელი იყოს მათი დამსახურება, ჩვენთვის ვანო სარაჯიშვილი სულ სხვა ადგილს იკავებს, სულ სხვანაირად წარმოჩინდება, სწორედ ამიტომაცაა ქართველი ადამიანის განსაკუთრებული და გამორჩეული დამოკიდებულება ამ გასაოცარი ხელოვანის მიმართ.

გელა ძოძიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი



მესამე რეიხის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდა. თუმცა ძალიან უყვარდა პოზები და საკუთარი თავი. დიპლომატიაში ის ცუდად ერკვეოდა, მაგრამ თავის მემუარებში, რომელიც ნიურნბერგის ციხეში დაწერა, „დაავიწყდა“ მოეთხრო ერთი გასართობი შემთხვევის შესახებ. „დაავიწყდა“ იმიტომ, რომ ის ჰიტლერის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს წარმოაჩენდა მთლად სულელად. კრემლში 1939 წლის აგვისტოში რიბენტროპის პატივსაცემად გამართულ მიღებაზე ის ავიდა კრემლის დიდი სასახლის კიბეზე და მიესალმა სტალინს... ნაცისტური მისალმებით. ესე იგი ზევით აწეული ხელით. სტალინის გარემოცვა გაშეშდა: ეს ხომ აშკარა პროვოკაცია იყო?! სინამდვილეში უბრალოდ უგუნური რიბენტროპი არ დაფიქრებულა ასეთი ჟესტის უადგილობაზე. სიტუაცია სტალინმა იხსნა, რომელმაც ყველასათვის მოულოდნელად რიბენტროპს უპასუხა... კნიკსენით. თითებით ასწია თავისი ფრენჩის კიდურები და ჩაცუცქდა სტუმრის წინ. შეკრებილები ხმამაღლა ახარხარდნენ.

* * *

პოსტდამში 1945 წლის ზაფხულში ჩერჩილის ჩავარდნის შემდეგ ინგლისში საყოველთაო არჩევნების დროს, ის ახალმა ლეიბორისტმა პრემიერმა კლემენტ ეტლიმ შეცვალა. მასთან ერთად პოტსდამში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი, ინგლისის მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ერნსტ ბევინი. როგორღაც ტუალეტში (თარჯიმანი ზოგჯერ თავის შეფთან ერთად უნდა ყოფილიყო იქაც) ბეკინმა, რომელიც სტალინთან ახლოს აღმოჩნდა პისუართან, იხუმრა:

— ეს არის ერთადერთი ადგილი კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც მშრომელს შეუძლია მთელი უფლებით აიღოს წარმოების საშუალება თავის ხელში...

სტალინმა ეშმაკურად გაიღიმა და მხარი დაუჭირა ხუმრობას:

— ასევეა სოციალისტურ სამყაროშიც...

* * *

ამერიკელი დიპლომატი ავერელ ჰარიმანი ყვებოდა, რომ რუსულ მიწაზე ის პირველად აღმოჩნდა რვა წლისა, ერთ-ერთი დიდი მოგზაურობის დროს, სადაც იგი მშობლებმა წაიყვანეს. ჰარიმანების ოჯახი მაშინ გადმოვიდა ბერინგის სრუტის დასავლეთ სანაპიროზე. როდესაც შემდგომ ჰარიმანმა ისაუბრა კრემლში ამ თავგადასავლის შესახებ და დაუმატა, რომ არცერთ მათგანს ვიზა არ გააჩნდაო, სტალინმა შენიშნა:

— ახლა ამას ვერ შეძლებდით...

* * *

სტალინი შეეკითხა მეტეოროლოგებს, როგორია პროგნოზების სიზუსტის მათი პროცენტი.

— ორმოცი პროცენტი, ამხანაგო სტალინ.

— ილაპარაკეთ პირიქით და მაშინ გექნებათ სამოცი პროცენტი.

* * *

ერთხელ უცხოელი კორესპონდენტები შეეკითხნენ სტალინს:

— რატომ არის სომხეთის გერბზე გამოსახული არარატის მთა, იგი ხომ არაა სომხეთის ტერიტორიაზე?

სტალინმა უპასუხა:

— თურქეთის გერბზე გამოსახულია ნახევარმთვარე, არადა, ხომ არც ისაა თურქეთის ტერიტორიაზე.

* * *

მრავალი ხნის შემდეგ ავერალ ჰარიმანი იხსენებდა, რომ პოტსდამის კონფერენციის დროს მან სტალინს უთხრა:

— თქვენთვის, ალბათ, ძალიან გასაგები უნდა იყოს, რომ მას შემდეგ, რაც თქვენმა ქვეყანამ გადაიტანა, იმყოფებით აქ, ბერლინში...

— მეფე ალექსანდრე, — აუღელვებლად შენიშნა სტალინმა, — პარიზამდე ჩავიდა...

* * *

მოსკოვში 1942 წლის აგვისტოში ვიზიტის დროს ჩერჩილი თავის მთავარ ამოცანად მიიჩნევდა, ეამბნა სტალინისთვის, რომ წელს მოკავშირეები ევროპაში მეორე ფრონტს ვერ გახსნიან. ამის ნაცვლად მათ გეგმაში აქვთ გადასხდნენ აფრიკაში საფრანგეთის სამფლობელოში.

ამაზე სტალინმა, არცთუ იუმორის გარეშე, თქვა:

— ბრიტანეთის არმიას ასე ძალიან არ უნდა ეშინოდეს გერმანელებისა.

* * *

სტალინს რამდენიმე თარჯიმანი ჰყავდა, რომლებიც ბელადთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ მოლაპარაკებებში. ყოველ ენას თავისი მთარგმნელი ჰყავდა. გერმანულიდან და გერმანულზე მისი თარჯიმანი იყო ბერეჟკოვი, ვისი მემუარების წაკითხვასაც ყველას ვურჩევდი. ინგლისურიდან სტალინს უთარგმნიდა პავლოვი. სწორედ ამაზეა აგებული მთელი შემდგომი იუმორი. თუმცა, როგორც ბერეჟკოვის მემუარებიდან მოჩანს, ის თეირანის კონფერენციაშიც მონაწილეობდა, რომელზეც, გასაგები მიზეზების გამო, გერმანულად მთარგმნელი არც არავინ იყო, არც არაფერი იყო სათარგმნი, ასევე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების დროსაც. მაშასადამე, მან ინგლისური ენაც იცოდა, მაგრამ გამოვრიცხოთ სიტუაციის შესაძლებლობა, როდესაც ანგლოსაქსებმა იცოდნენ თარჯიმანი პავლოვი და არ იცოდნენ თარჯიმანი ბერეჟკოვი, მთლიანად არ შეიძლება. ისტორია კი იყო ასეთი...

როგორღაც შემთხვევით სტალინმა გაიგო (თუმცა ბერეჟკოვი ამას არ იხსენებდა), რომ მან გერმანულის გარდა, იცოდა ინგლისური ენაც. და აი, როგორღაც ორი თუ სამი წლის შემდეგ სულ რაღაც ხუთ-ათ წუთში ამერიკელებთან პასუხსაგები მოლაპარაკების დაწყებამდე, სტალინს აცნობებენ, რომ თარჯიმან პავლოვს არ შეუძლია დაესწროს, ვინაიდან მოულოდნელად ავად გახდა. ამერიკელები, რომლებიც კრემლში ჩამოვიდნენ და როდესაც ეს გაიგეს, აღელდნენ: მოლაპარაკებები საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჩარლზ ბოლენი შეშფოთებით ეკითხება სტალინს:

— რა უნდა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ? ვიმუშავებთ, — აუღელვებლად უპასუხა სსრ კავშირის მეთაურმა.

— მაგრამ ვინ თარგმნის? — ნერვიულად ეკითხება ბოლენი.

— თარგმნის ბერეჟკოვი.

— მაგრამ ბერეჟკოვი ხომ თარგმნის გერმანულიდან და არა ინგლისურიდან, — ვერ ისვენებს ბოლენი.

— ამას არ აქვს მნიშვნელობა, — აცხადებს სტალინი.

ამერიკელები შოკში არიან.

— ეს როგორ არ აქვს მნიშვნელობა?

— მე მას ვუბრძანებ, და ბერეჟკოვი დაიწყებს ინგლისურიდან თარგმნას, — მშვიდად უხსნის სტალინი.

მოდის ბერეჟკოვი, გაოგნებული ამერიკელების თვალწინ. სტალინი უბრძანებს მას თარგმნოს ინგლისურიდან.

— არის, — უპასუხებს თარჯიმანი.

და იწყებს საუბარს მოულოდნელობისაგან გამოშტერებულ ამერიკელებთან წმინდა ინგლისურ ენაზე.

* * *

კიდევ ერთი რეალური ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ არ უღალატა სტალინს იუმორის გრძნობამ დიპლომატიურ საუბრებში.

რუმინეთის ომისშემდგომი პრემიერ-მინისტრი პეტრუ გროზა სტალინთან საუბრის შემდეგ (რაც, სხვათა შორის, გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა) საღილობდა ჩვენს ხელმძღვანელთან. როდესაც კარგად დალია და ჭამა, პეტრუ გროზამ თქვა:

— იცით, ძალიან მიყვარს ქალები.

— მე კი ძალიან მიყვარს კომუნისტები, — უპასუხა სტალინმა.

* * *

როგორღაც სტალინმა დიდხანს ვერ შეძლო დაკავშირებოდა მწერალთა კავშირის გენერალურ მდივან ალექსანდრ ფადეევს: უბრალოდ, ის სამსახურში არ ყოფილა. როდესაც „ახალგაზრდა გვარდიის“ ავტორი, როგორც იქნა გამოჩნდა, სტალინი შეეკითხა:

— სად დაიკარგეთ, ამხანაგო ფადეევ?

— ნასვამი ვიყავი, — დიდი პირდაპირობით უპასუხა მან.

— და რამდენი დღე გრძელდება თქვენთან ნასვამობა?

— ათი, ოცი დღე, ამხანაგო სტალინ.

— არ შეგიძლიათ, როგორც კომუნისტს, განახორციელოთ ეს ღონისძიება სამ-ოთხ დღეში?

* * *

როდესაც გაიგო უთანხმოების შესახებ მწერლებს — ფედინსა და შოლოხოვს — შორის, სტალინმა ისინი კრემლში მიიწვია. დასვა ისინი მაგიდასთან და დაიწყო მათი შერიგება.

— საბჭოთა ლიტერატურის ინტერესებისათვის გთხოვთ, შერიგდეთ და ჩამოართვათ ერთმანეთს ხელი.

მწერლები დუმან.

— გთხოვთ! — დაბეჯითებით ამბობს სტალინი.

მწერლები ჯიუტობენ.

— თქვენ სტალინი გთხოვთ! — უკვე უფრო მკაცრად ამბობს იოსებ ბესარიონის ძე.

ლიტერატორები დგებიან ფეხზე და უგულოდ აწვდიან ერთმანეთს ხელებს.

— ახლა კი აკოცეთ ერთმანეთს! — ამბობს სტალინი და როდესაც ოპონენტები იწყებენ ერთმანეთის კოცნას, ხმამაღლა იცინის:

— მე კი მეგონა, რომ პრინციპულები იყავით.

* * *

როდესაც მაო ძედუნს წარუდგენდა კინომსახიობ ბორის ანდრეევს, რომელმაც მთავარი როლი შეასრულა ფილმში „ბერლინის დაცემა“, სტალინმა თქვა:

— აი, არტისტი ბორის ანდრეევი. ჩვენ ორივენი ერთად ვიღებდით ბერლინს.

* * *

სტალინის ბავშვობის მეგობარი — მღვდელი გიორგი — ჩამოვიდა საქართველოდან და ბელადს სთხოვა აუდიენცია. ამაზე სტალინმა უპასუხა, რომ არ შეუძლია მისი მიღება მღვდლის ტანსაცმელში. დაიწყებაო საუბარი, რომ გენერალური მდივანი ხვდებაო მღვდლებს. სამოქალაქო კოსტიუმში — დიდი სიამოვნებით.

მაშინ გიორგიმ შეიკერა სამოქალაქო ტანსაცმელი და მიდის მიღებაზე. მღვდელი კაბინეტის კარამდე მიჰყავთ, უღებენ კარს და იქიდან გაისმის სტალინის სიცილი:

— ოი, გოგა. ტანსაცმელი გამოიცვალე. უფლისა არ შეგშინებია, ჩემი კი შეგეშინდა!

* * *

1943 წლის ნოემბერში თეირანის კონფერენციაზე სხდომის შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზეც სტალინმა და ჩერჩილმა ერთმანეთს გაუზიარეს „ქათინაურები“. რუზველტი კი, რომელმაც აღნიშნა, რომ გადაიღალა, წავიდა, მაგრამ რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებს შორის დიალოგს არ დაუკარგავს სიმახვილე.

ჩერჩილი: „მიმაჩნია, რომ ღმერთი ჩვენს მხარესაა. ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ის ჩვენი ერთგული მოკავშირე გახდეს...“

სტალინი: „ეშმაკი კი, რასაკვირველია, ჩემ მხარესაა. იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ ეშმაკი კომუნისტია. ღმერთი კი, უსათუოდ, წესიერი კონსერვატორი...“

* * *

იმპერატორმა ალექსანდრე III-მ ერთ-ერთი თავისი მოგზაურობის დროს ჩაიდინა ცოდვა განსაკუთრებით დაბალი წოდების პირთან, რომელსაც სთხოვა ეცნობებინა მისთვის, თუ ბავშვი დაიბადებოდა. განსაზღვრულ ვადაში მან მიიღო დეპეშა — დაიბადა ბიჭი. პასუხად მოვიდა უმაღლესი დეპეშა: „ყმაწვილს დაარქვით სახელი სერგეი, მამის სახელი — ჩემი, გვარი — მეტსახელის შესაბამისად“. იმდენად, რამდენადაც ამ მეტად გონიერი მეფის მეფობის დროს რუსეთი არ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, მისი მეტსახელი იყო — მშვიდობისმყოფელი. ასეც გამოვიდა — სერგეი ალექსანდრეს ძე მიროტვორცევი (ჩვენებურად — მშვიდობისმყოფელი — მთ). 1930-იან წლებში ჩეკისტებმა გამოჩხრიკეს ეს ისტორია და ემზადებოდნენ „მემკვიდრის“ დასაჭერად. ქაღალდები მის შესახებ შემოვიდა სტალინთან, რომელმაც დაადო შემდეგი რეზოლუცია: „ის დამნაშავე არაა, რომ მამამისი ასეთი მოარშიყე იყო“. ს.ა. მიროტვორცევი გახდა პროფესორი, ჰქონდა დამსახურებები და მიიღო სტალინური პრემიაც.

* * *

როდესაც უკრაინის სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარი პოლიტბიუროზე გამოიძახეს, მან იკითხა:

— როგორი უნდა იყოს ჩემი მოხსენება — მოკლე იყოს დაწვრილებით?

— როგორც გინდათ, შეგიძლიათ მოკლედ, შეგიძლიათ დაწვრილებით, მაგრამ რეგლამენტი — სამი წუთია, — უპასუხა სტალინმა.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-124



რუსეთის მომწამვლელი პოლიტიკის საპირწონედ

დენიელ ფრიდი: მესმის, ქართველები შეიძლება იმედგაცრუებულნი იყვნენ, მაგრამ თქვენი ჯერი აუცილებლად დადგება!

ამერიკის **შეერთებული** **შტატების** **სახელმწიფო** **დეპარტამენტში** **დენიელ ფრიდმა** 40 **წელი** **იმუშავა.** **კარიერის** **სხვადასხვა** **ეტაპზე** **იგი** **ნატოს** **გაფართოებას** **და** **რუსეთის** **წინააღმდეგ** **სანქციების** **დაწესებას** **ხელმძღვანელობდა.**

„ამერიკის ხმის“ კორესპონდენტი ნანა საჯაია დენიელ ფრიდს ესაუბრა. გთავაზობთ ამონარიდს აშშ-ის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟის მქონე დიპლომატის ინტერვიუდან:

— ამერიკელმა სენატორებმა მხარი დაუჭირეს რუსეთზე სანქციების გამკაცრებას. სახელმწიფო დეპარტამენტში მუშაობისას თქვენ ამ საკითხს ზედამხედველობდით. როგორ აფასებთ სანქციების ამ ახალ ეტაპს?

— მივესალმები სენატორების გადაწყვეტილებას, რუსეთს პასუხი აგებინონ მათი აგრესიისთვის უკრაინაში, 2008 წლის აგრესიისთვის საქართველოში და შეერთებული შტატების არჩევნებისას კიბერ თავდასხმებისთვის. სენატორები ცდილობენ, ამ მნიშნელოვან საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ და ეს არაჩვეულებრივი ფაქტია. საერთო ინტერესების გათვალისწინებით რუსეთთან უნდა ვითანამშრომლოთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რუსეთი მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების მიტაცებისთვის უნდა დავაჯილდოვოთ.

— რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა თავისუფალი სამყაროს წესებს უნდა ეფუძნებოდეს. რას ნიშნავს ეს საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის?

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ ქვეყნებს, რომლებმაც ძლიერი დემოკრატიული და ეკონომიკური ინსტიტუტების მშენებლობა დაიწყო, აქვთ ყველა უფლება, თავად განსაზღვრონ საკუთარი ქვეყნის ბედი. მათი უფლებაა, იყვნენ ტრანსატლანტიკური საზოგადოების და საერთაშორისო ინსტიტუტების ნაწილი. ამ პროგრესს ცივი ომის დასრულებიდან თითქმის 20 წელი დასჭირდა, თქვენ ქართველები იმსახურებთ თქვენს ადგილს ევროპაში. საქართველოს შემთხვევაში ეს მიზანი ჯერჯერობით მიღწეული არ არის. თქვენ იმსახურებთ თქვენს ადგილს ევროპაში იმის მიხედვით, რასაც თქვენვე გააკეთებთ და ამას არ წყვეტს მოსკოვი. მესმის, რომ ქართველები შეიძლება იმედგაცრუებული იყვნენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორია ყოველთვის მარტივად არ ვითარდება, და საქართველოს ჯერი აუცილებლად მოვა.

— თქვენ ეწინააღმდეგებით გავლენათა სფეროების ცნებას და ამბობთ, რომ ქვეყნები თვითონ უნდა წყვეტდნენ საკუთარ მომავალს. ასევე ამბობთ, რომ ამერიკა უფრო ძლიერია ამ სფეროების გარეშე. თუმცა 2008 წელს საქართველოსთვის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე უარის თქმა, ბევრისთვის სწორედ იმის ნიშანი იყო, რომ საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში რჩება.

— სამართლიანი კითხვაა. 1989 წლის შემდეგ ჩვენ დაახლოებით 20 წელი დაგვჭირდა პოლონეთის და ბალტიისპირეთის სრული ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის. საქართველოზე ჩვენ და დასავლეთს, ერთიანი პოზიცია არ გვქონდა და იმავე წარმატებას ვერ მივაღწიეთ. ჩვენ ვერ გავერთიანდით ნატოს წევრობის საკითხზე და შემდეგ იყო ომი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროდ ვაღიარებთ. ამ ომით საქართველოს ისტორია არ დასრულებულა, მისთვის კარები არ დახურულა.

— რუსეთის პოლიტიკას თქვენ კოროზიულს, მომწამვლელს უწოდებთ. გაშფოთებთ რეგიონში მისი გავლენის ზრდა?

— მე მაშფოთებს რუსეთის გავლენა, მისი შავი ფული, მისი მცდელობები გავლენა იქონიოს სხვა ქვეყნების არჩევნებზე. ამის მაგალითები გვქონდა შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში. რა თქმა უნდა, მაშფოთებს რუსეთის გავლენა, მაგრამ ძალიან ხშირად რუსეთი მიზანს ვერ აღწევს, რუსეთს უნდოდა, საქართველოს დემოკრატიზება შეეჩერებინა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. შეცდომაა იმის დაშვება, რომ რუსეთი მიზანს მიაღწევს, მხოლოდ იმიტომ რომ ის ტოტალიტარული სახელმწიფოა, ჩვენ კი დემოკრატიული.

— სხვადასხვა კვლევის მიხედვით, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს აქვს ძალიან მაღალი საზოგადოებრივი მხარდაჭერა, თუმცა ასევე მზარდია იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ამბობს, რომ ნატოში ან ევროპის კავშირში გაწევრიანება მათ სიცოცხლეში არ მოხდება. ხომ არ იქონიებს ეს გავლენას ქვეყნის კურსის ცვლილებაზე?

— მესმის ქართველების იმედგაცრუების. საქართველოს თავს დაესხა მასზე ბევრად დიდი და ძლიერი მეზობელი, ტერიტორიები ოკუპირებულია, ხალხი დევნილობაში. ეს ყველაფერი იმედგაცრუებას იწვევს. რუსეთი ხშირად ამბობს, რომ დასავლეთს საქართველო არ სჭირდება, რომ დასავლეთი საქართველოს არასდროს მიიღებს. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რა სურს საქართველოს. მთავარია, რა სურთ ქართველებს და არა ის, თუ რა უნდა რუსეთს საქართველოსთვის. მე ამერიკელი ვარ, ეს ნიშნავს, რომ ოპტიმისტი ვარ. საქართველოში პირველად საბჭოთა კავშირის დროს ჩავედი, მაშინ რომ ქართველებისთვის გვეკითხა, როდის გახდება საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა, ალბათ 5%-ზე ნაკლები თუ იფიქრებდა, რომ ეს მათ სიცოცხლეშივე მოხდებოდა, მაგრამ ეს მოხდა. ცვლილებები იმაზე მალე ხდება, ვიდრე ხშირად წარმოგვიდგენია.

მიხეილ სააკაშვილი აფრიკაში მიდის და პოროშენკოს „ეფერება“...

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფრიკაში მიდის. ამის შესახებ ოდესის ექსგუბერნატორი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„2 მოწვევა მაქვს. ერთი ტანზანიის ხელმძღვანელობისაგან დარ-ეს-სალამში (აფრიკა) კონფერენციაზე და მეორე კი ბრიუსელის სამიტზე, ევროპის სახალხო პარტიისაგან. ახლახან სანდო წყარომ მაცნობა, რომ ბრიუსელიდან დაბრუნების შემდეგ უკრაინაში აღარ შემიშვებენ, ვინაიდან პოროშენკო, რომელიც ასევე იქნება ბრიუსელის სამიტზე, უკრაინის მოქალაქეობას ჩამომართმევს. მე თავიდანვე არ ვგეგმავდი ბრიუსელში წასვლას და მივდივარ აფრიკაში. ასე რომ, პეტრო პოროშენკო, ნუ დარდობთ, არ გაგიფუჭებთ განწყობას ბრიუსელში, ვინაიდან თქვენგან 11 000 კილომეტრის დაშორებით ვიქნები აფრიკაში და შეეშვით ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე ფიქრს, ვინაიდან მე მაინც დავბრუნდები მშობლიურ კიევში, კიევისა და კიეველების გამარჯვებისთვის“, — წერს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი.

სააკაშვილმა საბიუჯეტო თანხებით მარიამ საჯაიასა და ივანა მელაის ძვირად ღირებული ყელსაბამები აჩუქა

საქართველოს **ყოფილი** **პრეზიდენტის** **მიხეილ** **სააკაშვილის** **მიერ** **საბიუჯეტო** **თანხების** **არამიზნობრივად** **გაფლანგვას** **სახელმწიფო** **დაცვის** **სპეციალური** **სამსახურის** **ყოფილი** **თანამშრომელი** **ადასტურებს.** **სასამართლო** **სხდომაზე** **მოწმე** **მალხაზ** **შარიაშვილმა** **პროკურორის** **შეკითხვების** **საპასუხოდ** **დაადასტურა,** **რომ** **მან** **ძვირად** **ღირებული** **საჩუქრები** **ადრესატებს** **გადასცა,** **მათ** **შორის,** **საჯაიას** **საჩუქრად** **3000-ლარიანი** **ყელსაბამი,** **ასევე,** **ძვირად** **ღირებული** **ყელსაბამი** **გადასცა** **ივანა** **მელაის.**



საქმეზე, სადაც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თემურ ჯანაშიას საქმე განიხილება, კიდევ ერთი მოწმე იკითხება — ვალერიან კილაძე, რომელიც სდსს-ს ყოფილი თანამშრომელია.

კილაძის თქმით, პრეზიდენტის სტუმრებს საჩუქრებს გასაიდუმლოებულ ვითარებაში ყიდულობდნენ, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე.

თურქეთში გარდაცვლილის ოჯახი საეჭვო გარემოებებზე საუბრობს

საქართველოს **საგარეო** **საქმეთა** **სამინისტროს** **განცხადებით,** **თურქეთში** **გარდაცვლილი** **საქართველოს** **მოქალაქის** **ბუნა** **ხოტოველის** **საქმეზე** **გამოძიება** **მიმდინარეობს** **და** **უწყება** **ცხედრის** **გადმოსვენების** **პროცედურებში** **ჩართულია,** **თუმცა** **ჯერჯერობით** **უცნობია,** **მისი** **გარდაცვალების** **ზუსტი** **მიზეზი.**

გავრცელებული იფორმაციით, ბუნა ხოტოველის ცხედარი მდინარეში იპოვეს. ერთ-ერთი ვერსიით, ის სიმაღლიდან გადავარდა. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილის ოჯახს ამ ვერსიის არ სჯერა და საეჭვო გარემოებებზე საუბრობს.

ბუნა ხოტოველი დედასთან ერთად ქუთაისში ცხოვრობდა. ის ტაილანდიდან საქართველოში თურქეთის გავლით ბრუნდებოდა.

აღკვეთეს ყაჩაღობის ფაქტი

შინაგან **საქმეთა** **სამინისტროს** **მცხეთა-მთიანეთის** **პოლიციის** **დეპარტამენტის,** **ქვემო** **ქართლის** **პოლიციის** **დეპარტამენტისა** **და** **შიდა** **ქართლისა** **და** **მცხეთა-მთიანეთის** **საოლქო** **პროკურატურის** **თანამშრომლებმა** **ოპერატიული** **ინფორმაციის** **საფუძველზე** **ერთობლივად** **ჩატარებული** **საგამოძიებო** **მოქმედებების** **შედეგად** **1988** **წელს** **დაბადებული,** **წარსულში** **ნასამართლევი** **ს.გ.** **და** **1991** **წელს** **დაბადებული** **ი.ს.,** **ჯგუფურად,** **ბინაში** **უკანონო** **შეღწევით,** **ყაჩაღობის** **მომზადების** **ბრალდებით** **დააკავეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ფულისა და ძვირფასეულობის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში მცხოვრებ ო.კ.-ს ოჯახზე თავდასხმა დაგეგმეს, მაგრამ სამართალდამცველების ოპერატიული რეაგირების შედეგად, განზრახვა ვერ განახორციელეს.

პოლიციამ ორივე ბრალდებული იმ დროს დააკავა, როცა ერთ-ერთის კუთვნილი ავტომობილით, მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში იმყოფებოდნენ.

სამართალდამცველებმა, ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, დანაშაულის ჩადენისთვის მომზადებული ნიღბები და დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლებისთვის დააკავეს

ფინანსთა **სამინისტროს** **საგამოძიებო** **სამსახურმა** **კერძო** **პირის** **კუთვნილი** **მიწის** **ნაკვეთის** **თაღლითურად** **დაუფლების** **მცდელობის** **ფაქტზე** **ერთი** **პირი** **დააკავა.**

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებული უცხო ქვეყნის მოქალაქის კუთვნილი 2215 კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლებასა და შემდგომ, სხვა პირებზე რეალიზაციას ცდილობდა. ამ მიზნით, მან ყალბი დოკუმენტები წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ბრალდებული სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხ. 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 დან 9 წლამდე ვადით.

უშვილობამ რომიც კი დაღუპა...

დემოგრაფიული პრობლემები, რომელთა გამკლავებას ამჟამად მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს, თუმცა კი მათი მიზნები ზოგჯერ კარდინალურად განსხვავებულია, სულაც არ არის მარტო ჩვენი დროის დამახასიათებელი ნიშანი. ამის დასტურად მარტო იმის თქმა კმარა, რომ მარტო ძველი რომის წარმოშობის დიდად შთამბეჭდავი და არანაკლებ გრანდიოზული დაცემის ამბების ძირი და საფუძველი სწორედ რომ შობადობის ფაქტორი გახლდათ.

ძველ რომში, ისევე, როგორც მხედრული ოსტატობა, მრავალშვილიანობაც ცნება „Vitrus“-ის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ეს ცნება კი — გმირობა და სახელმწიფოს გულისთვის თავგანწირვა — რომაული მორალისა და ეროვნული შეგნების უმნიშვნელოვანესი საყრდენი გახლდათ. სწორედ ამის წყალობით იყო, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I საუკუნეების მიჯნაზე ლათინთა მცირერიცხოვანმა ტომმა თავისი დროის უდიდესი და უძლიერესი ქალაქის — რომის შექმნა შეძლო, რომელშიც მილიონნახევარი კაცი ცხოვრობდა.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სწორედ ამავე დროს სახელმწიფოში შობადობის დაქვეითება დაიწყო — ახლა ოჯახთა უმეტესობაში ერთი ან ორი ბავშვი ჰყავდათ.

ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, იმპერატორმა ავგუსტუსმა კანონებიც კი გამოსცა, რომელთა შესაბამისად უშვილოებს რომის მოქალაქის უფლებები ძლიერ ელახებოდათ, მაგალითად, მემკვიდრეობის მიღება აღარ შეეძლოთ! მაგრამ ამ დრაკონულ ზომებსაც სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ამ „დემოგრაფიული ხაფანგიდან“ თავის დაღწევას ძლევამოსილი რომი იმით შეეცდება, რომ თავის მოქალაქეობას თუნდაც რაღაცით გამოირჩეულ ნებისმიერ უცხოტომელს ანიჭებს. საქმე იქამდე მიდის, რომ როგორც ისტორიულ წყაროებშია აღნიშნული, მე-4 საუკუნისთვის რომაულ ჯარსაც ამ სახელს სავსებით სამართლიანად ეღარ უწოდებ, რადგან მის ძირითად ბირთვს უკვე გერმანელები, კელტები, იბერები, თრაკიელები, არაბები და მრავალი სხვა ერის მეომრები წარმოადგენენ. ასი წლის შემდეგ კი, 476 წელს, რომი დაეცემა კიდეც...

ნინო ალექსანდრია

ოქრუაშვილზე თავდამსხმელს 17-წლიანი პატიმრობა შეეფარდა

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ ცეცხლის გახსნის ფაქტზე დაკავებულ ალექსანდრე ინდუაშვილს 17-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

გორის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვასა და ტარებაში, დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, წარსულში ნასამართლევი ა. ი. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 2 ოქტომბერს, დაახლოებით 17:00 საათზე, წარსულში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის ნასამართლევი ა.ი. მივიდა ქ. გორში, კეცხოველის ქუჩაზე, სადაც მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ი. ო; კ. კ.-სთან და ბ. თ.-სთან ერთად ხვდებოდა. ა.ი.-მ ი.ო.-ს და იქ მყოფი საზოგადოების ზოგიერთი წევრის მიმართ გამოხატა უპატივცემულობა, რასაც ურთიერთშელაპარაკება მოჰყვა, რა დროსაც ა.ი.-მ ი.ო.-ს, კ.კ.-ს და ბ. თ.-ს მოკვლა განიზრახა. მან „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა, რამდენიმე გასროლა განახორციელა კ. კ.-ს და ბ. თ.-ს მიმართ, ხოლო შემდეგ ორჯერ ესროლა ი.ო.-ს. ა.ი.-მ თავისი ქმედებით ასევე განზრახ შეუქმნა ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე აღნიშნული პირების გვერდით მყოფ მოქალაქეებს. ა. ი.-მ ვერ შეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სროლის შედეგად კ.კ.-მ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება, ხოლო ბ.თ.-მ - ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება.

სამართალდამცველებმა ა. ი. 4 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) და 19-109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (დამამძიმებელ გარემოებებში ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) წარედგინა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ა. ი. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 17 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

განცხადება

2017 წლის 20 ივნისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ განცხადებასთან, „ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა, დამატებით შეტანილი ცვლილება.

„ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში მომზადებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის საჯარო განხილვა გაიმართება 2017 წლის 11 აგვისტოს:

- 10 საათზე — წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. 25;
- 12 საათზე — ქ. ქუთაისის დ. აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის შენობაში (მისამართი: სამტრედია, სოფელი ჯიხაიში)
- 15 საათზე — სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა N6;

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — სამტრედია, რესპუბლიკის ქუჩა N6;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. 25;
- სს „საქართველოს რკინიგზის“ — ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15;
- ა(ა)იპ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიის“ ოფისში — ქ. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ.N4.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო ჩობანიანი. ტელ: 591 199 149 ; E-mail: nino.chobaniani@railway.ge;
- გია ჟორჟოლიანი. ტელ: 577 46 64 46 ; E-mail: g.zhorzholiani@iceia.org; info@iceia.org;

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2017 წლის 3 აგვისტო.

სს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაცია

საქართველოს საზღვართან აზერბაიჯანელი ჟურნალისტი დააკავეს

საქართველოს საზღვართან აზერბაიჯანელი ჟურნალისტი კამრან მაჰმუდოვი დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, „რადიო თავისუფლების“ ყოფილი პროდიუსერი საქართველოში ბრუნდებოდა, როცა იგი სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე დააკავეს.

როგორც ასევე აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, ხადიჯა ისმაილოვა ამბობს, საზღვარზე კამრან მაჰმუდოვს უთხრეს, რომ მას პოლიცია ეძებდა.

„ჩვენ ერთად ვმუშაობდით რამდენიმე წლის განმავლობაში „რადიო თავისუფლების“ რადიო გადაცემაზე After Work, მე წამყვანი ვიყავი, ის — პროდიუსერი. „რადიო თავისუფლების“ ბაქოს ოფისის დახურვის შემდეგ კამრანი სხვადასხვა გადაცემებს უძღვებოდა სხვადასხვა პლატფორმებზე, რომლებიც მიმდინარე საკითხებს ეხებოდა. იგი თამამი ჟურნალისტია. მისი დაკავებისთვის სხვა მიზეზი არ არსებობს“, — განაცხადა ხადიჯა ისმაილოვამ.

აზერბაიჯანის პოლიციაში განმარტეს, რომ კამრან მაჰმუდოვს აკრძალული ჰქონდა ქვეყნის დატოვება და ვითარება შესაბამისი შემოწმებების შემდეგ გაირკვევა.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით.

ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ წინ, საქართველო!

ჰორიზონტზეა ტოკიო

ხშირად გვსმენია, კარატე გერის როლშიაო. ვიმედოვნებთ, სიტუაცია ამიერიდან უკეთესობისკენ შეიცვლება, რადგან ეს ვაჟკაცური სახეობა ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს, სადაც მედლები ქალ-ვაჟთა სამ-სამ წონაში გათამაშდება და თითოეულში 10-10 რჩეული გამოვა.

სალიცენზიო ქულების გათამაშება უკვე დაიწყო და სასიამოვნოა, რომ მარაქაში ჩვენებურებიც გაერივნენ.

კერძოდ, ამ დღეებში ესპანურ ტოლედოში გამართულ სუპერლიგის (სერია „ა“) მორიგ ტურნირში მსოფლიოს ექსჩემპიონმა გოგიტა არქანიამ (+84 კგ) ოქროს მედალი მოიპოვა და მსოფლიო კლასიფიკაციაში უკვე 1100 ქულას მოუყარა თავი (მეორე ადგილი), ხოლო 60 კილოში მოასპარეზე დავით ტყებუჩავა მესამე პრიზიორი გახდა. მის არქივში ჯერჯერობით 625 სალიცენზიო ქულაა (მეთერთმეტე პოზიცია).

გეჟან დოლიძე

◎ მეტოქე

იტალია: საკადრო პრობლემები

ევრობასკეტ-2017-ზე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქე იტალია ორი წამყვანი კალათბურთელის გარეშე დარჩა. აპენინელებს ჯერ ცენტრი ანდრია ბარნიანი ტრავმის გამო გამოაკლდა, ახლა კი ალესანდრო ჯენტილემ ევროპის ჩამპიონატზე თამაში იუარა და ამის შესახებ გულშემატკივრებს სოციალური ქსელით ამცნო. „იტალიის ნაკრებში 15 წლიდან ვთამაშობ, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. ჩემს ქვეყანას და ნაკრებს ყოველთვის დიდ პატივს ვცემ. სამწუხაროდ, ევრობასკეტ-2017-ზე ვერ ვითამაშებ. ეს გადაწყვეტილება ჩემი რთული სეზონიდან გამომდინარე მივიღე და ბიჭებს ტელეეკრანიდან ვუგულშემატკივრებ, – განაცხადა ჯენტილემ. ევრობასკეტ 2017-ზე საქართველოს ნაკრები „ბ“ ჯგუფში იასპარეზებს, სადაც იტალიას, უკრაინას, ლიტვას, გერმანიას და მასპინძელ ისრაელს დაუპირისპირდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ცოცხალი ლეგენდა

ფედერერის 1100-ე გამარჯვება

დიდი სლემის 18-გზის ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა ერთეულთა თანრიგში 1100-ე შეხვედრა მოიგო. **ჰალეს ტურნირის პირველ წრეში მან იაპონელი იუჩი სუგიტა მარტივად 6:3, 6:1 დაამარცხა.** როჯერს შეხვედრის მოსაგებად სულ 52 წუთი დასჭირდა. 1/8-ფინალში შვეიცარიელი მსოფლიოს 29-ე ნომერს მიშა ზვერევს შეხვდება. ერთეულთა თანრიგში როჯერს მოგებების რაოდენობით მხოლოდ ჯიმი კონორსი უსწრებს, რომელსაც 1256 გამარჯვება აქვს. ფედერერს კარიერაში ჰალეს ტურნირი ყველაზე მეტჯერ (რვაჯერ) აქვს მოგებული (2003, 2004, 2005, 2006, 2008, 2013, 2014, 2015). აღნიშნული ტურნირის საპრიზო ფონდი 1.8 მილიონ ევროს შეადგენს.

მანუჩარ გიორგაძე



◎ ფეხბურთი

დამშვიდობებაც ასეთი უნდა

საქართველოს XXIX საფეხბურთო ჩემპიონატის ეროვნულ ლიგაში პირველი წრე ჩვენებური „ელ კლასიკოთი“ დაგვირგვინდა: „დინამო“ (თბილისი) – „ტორპედო“ (ქუთაისი). პრინციპულ მეტოქეთა მორიგ ჯახს ინტრიგას სატურნირო ცხრილის სათავეში შექმნილი ვითარება მატებდა, სადაც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერები – კახი კაჭარავას შეგირდები 3 ქულით უსწრებდნენ სტუმრებს და არ იყო გამორიცხული; ერთთვიან საზაფხულო არდადეგებს ორხელისუფლებიანობაში ჩაევლო.

„დინამო“ – „ტორპედო“ 2:1 (0:1)

გოლები: პაპუნაშვილი, ლობჟანიძე; დოლიძე

პირველი ტაიმი რიონისპირელებმა უკეთ ჩაატარეს და ლოგიკურიც იყო, მასპინძელთა უკრაინელი მეკარის სერგო ლიტოვჩენკოს უხეშ შეცდომას კახა ჩხეტიანის გუნდის უდავო ლიდერის, უბერებელი გრიგოლ დოლიძის მორიგი ზუსტი გასროლა რომ მოჰყვა.

არანაკლებ სიმბოლურია, ტაიმბოლი აწ უკვე ყოფილმა „თეთრ-ლურჯებმა“ რომ გამოაცხვეს – მოგეხსენებათ, ამიერიდან გიორგი პაპუნაშვილი ესპანურ „სარაგოსაში“ ითამაშებს, ხოლო საბა ლობჟანიძე დანიურ „რანდერსში“. სხვათა შორის, ახალგამოჩეკილ ლეგიონერებთან ერთად ბრძოლის ხასიათში გარდატეხის შეტანა გიორგი ჩაკვეტაძის ძალისხმევითაც მოხერხდა, რომელიც მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა და ტრავმირებული ოთარ კიტეიშვილის არყოფნაში წარმატებით შეასრულა ქუთათურთა შუახაზისა და დაცვის დამწიოკებლის როლი.

XVIII ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები: „სამტრედია“ – „დილა“ 3:2, „ჩიხურა“ – „ლოკომოტივი“ 0:3, „ბათუმი“ – „კოლხეთი“ 0:0, „შუქურა“ – „საბურთალო“ 1:2.

სატურნირო მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ: „დინამო“ – 43, „ტორპედო“ – 37, „სამტრედია“ – 33, „ლოკომოტივი“ – 27, „ჩიხურა“ – 26, „საბურთალო“ – 25, „დილა“ – 22, „ბათუმი“, „კოლხეთი“ – 17-17, „შუქურა“ – 7 ქულა.

ბომბარდირი: ირაკლი სიხარულიძე („ლოკომოტივი“) – 15 გოლი.

მეორე წრის სტარტზე ითამაშებენ: „დინამო“ – „კოლხეთი“ (21 ივლისი), „საბურთალო“ – „ტორპედო“, „სამტრედია“ – „შუქურა“, „ჩიხურა“ – „დილა“ (22 ივლისი), „ბათუმი“ – „ლოკომოტივი“ (23 ივლისი).

* * *

კონფედერაციათა თასი. „ა“ ჯგუფი. II ტური. რუსეთი – პორტუგალია 0:1, მექსიკა – ახალი ზელანდია 2:1.

მექსიკა, პორტუგალია – 4-4, რუსეთი – 3, ახალი ზელანდია – 0.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

კრიზისია, აბა რა!..

მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე, რომელსაც რუსული ქალაქი ხანტი-მანსიისკი მასპინძლობს, მეხუთე ტურის პარტიები გათამაშდა. ისევე, როგორც წინა ტურში, საქართველოს ამჯერადაც ძლიერი მეტოქე ჰყავდა – ტურნირის **რეიტინგ ფავორიტ ჩინეთს შეხვდა.** მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ამ ტურნირზე კარგი თამაშით ვერ გამოირჩევა, საქართველოს ნაკრები 3.5:0.5 დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა. საპირისპირო მდგომარეობაში იმყოფება საქართველოს ნაკრები. ზედიზედ ორი წაგების შემდეგ ქართველმა ქალბატონებმა სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესეს და ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაზე რომ არაფერი ვთქვათ, პირველ სამეულში მოხვედრაც კი სათუოდ გაიხადეს. 5 ტურის შემდეგ საქართველოს ისევ 4 ქულა აქვს და ვიეტნამთან და აზერბაიჯანთან ერთად მე-6-8 ადგილებს ინაწილებს. 8-8 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში ისევ უკრაინა და რუსეთი იმყოფებიან. ვაჟთა ჩემპიონატს 9 ქულით რუსეთის ნაკრები ლიდერობს. **მე-5 ტურის შეხვედრათა ტექნიკური შედეგები:** ჩინეთი – საქართველო 3.5:0.5. ვენცზიუნ ცზიუ (2583) – ნანა ძაგნიძე(2533) 1:0, ჩჟუნ ტანი(2517) – ლელა ჯავახიშვილი(2447)1:0, ტინცზე ლეი(2448) – ბელა ხოტენაშვილი(2452)1:0, ცი გო (2417) – ნინო ბაციაშვილი (2469) 0.5:0.5; პოლონეთი – უკრაინა 1:3, რუსეთი – აშშ 2:2, ეგვიპტე – ინდოეთი 1:3, ვიეტნამი-აზერბაიჯანი 2.5:1.5. **სატურნირო მდგომარეობა 5 ტურის შემდეგ:** 1-2. უკრაინა, რუსეთი – 8-8 ქულა 3. ინდოეთი – 7. 4-5. პოლონეთი, ჩინეთი – 6-6. 6-8. საქართველო, აზერბაიჯანი, ვიეტნამი – 4-4. 9. აშშ – 3.10. ეგვიპტე – 0 ქულა

კობა კობახიძე

ვიდეოჯარიმების დროულად გადახდის შემთხვევაში მძღოლები შეღავათით ისარგებლებენ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყანა“ ფარგლებში, ვიდეოჯარიმებთან დაკავშირებული ინოვაციური მოდელი შეიმუშავა:

საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, ვიდეოჯარიმებთან დაკავშირებით წამახალისებელი მექანიზმი ინერგება. ყველა და-

ჯარიმებულ მოქალაქეს ეძლევა ე.წ. საშეღავათო პერიოდი და თუ დაკისრებულ ჯარიმას შესაბამისი სმს-შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხდის, მისი ოდენობა 20% შეუმცირდება. საჯარიმო ქვითარი დაჯარიმებულ პირს ფოსტით მხოლოდ საშეღავათო პერიოდს არგამოყენების შემთხვევაში გაეგზავნება. ამ მიდგომით გაიზრდება ბიუჯეტში დროულად გადახდილი ჯარიმების ოდენობა და დაიზოგება სახელმწიფო რესურსები. მსგავსი მოდელი აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში, მათ შორის, იტალიაში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ვიდეოფირზე ან ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე გამოცემული დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ახალ წესს. ვიდეოჯარიმების ამოღების ეფექტურობის გაზრდის მიზნით, 6 თვიდან 1 წლამდე იზრდება ჯარიმის აღსრულების ვადა. ფოსტა, ორჯერ ჩაბარების ნაცვლად, ვალდებულია, საჯარიმო ქვითარი მხოლოდ ერთხელ ჩააბაროს და თუ საშეღავათო პერიოდის გასვლის შემდეგ, ფოსტა საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას ვერ უზრუნველყოფს, შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ჯარიმას თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნებს და გამოქვეყნებიდან 30 დღის შემდეგ იგი ჩაბარებულად ჩაითვლება.

აღნიშნული სისტემა გავრცელდება მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამო-



წერილ ჯარიმებზე საგზაო მოძრაობის სფეროში.

პროექტის თანახმად, ვიდეო/ფოტოჯარიმები აღარ დაეკისრება ავტოსატრანსპორტო საშუალების ლიზინგით გამცემ კომპანიებს; გამარტივდება რეგისტრაციის წესები და მომსახურება ავტოსალიზინგო სფეროში ოპერირებადი ბიზნეს-სექტორისთვის. ასევე, დაწესდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ალკოჰოლური ან/და ნარკოტიკული თრობის პირობებში მოპედის მართვისათვის.

„ცენტრ პოინტისგან“ ისევ დაპირებები ისმის

„ცენტრ პოინტის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, გურამ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ კომპანია „ცენტრ პოინტს“ აქვს კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც, ყველა დაზარალებულის დაკმაყოფილება მოხდება. მან ასევე, სხდომების ათი დღის ინტერვალით ჩატარება ითხოვა, სანაცვლოდ კი მოსამართლეს სექტემბრის ბოლოს მოწმეთა სრულად დაკითხვას დაჰპირდა.

დაცვის მხარეს 500 მოწმე ჰყავს სიაში, თუმცა რჩეულიშვილმა ამ სიის განახევრების პირობა დადო. მისი თქმით, ეს შუამდგომლობა პასუხია პროკურორებისა და დაზარალებულების ბრალდებების შესახებ, რომელიც საქმის გაჭიანურებას უკავშირდება.

პროკურორებმა დაცვის შუამდგომლობის განხილვისთვის დრო ითხოვეს. სახელმწიფო ბრალდების გადაწყვეტილება მომდევნო სხდომაზე გახდება ცნობილი.

გუშინ სასამართლოში დაცვის მხარის მოწმეები დაიკითხნენ. ისინი აცხადებენ, რომ თავს დაზარალებულად არ ცნობენ და არანაირი პრეტენზია რჩეულიშვილებთან არა აქვთ.

საქმის პროკურორების განცხადებით კი, დაცვის მხარეს კონკრეტული ინვესტორებისა და დაზარალებულების დაკმაყოფილების გეგმასთან დაკავშირებით ამ დრომდე არ მიუმართავთ, ასეთ შემთხვევაში კი მათ დეტალურად გაწერილი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ.

დაღუპულთა მშობლები სასამართლოს არ ენდობიან

ძოგულეთში, სასტუმრო „არმაზში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაღუპული ბავშვების მშობლები სასამართლოს უნდობლობას უცხადებენ.

მათი განცხადებით, გამოძიებამ ამ დრომდე საქმეში არსებული მხოლოდ მეორეხარისხოვანი მოწმეები დაჰკითხა. ისინი მთავარ პროკურორთან შეხვედრას მოითხოვენ.

„პროცესზე სიარულს აზრი არ აქვს. ერთი და იგივე ხელწერაა და ერთსა და იმავეს მოსასმენად ბათუმში სიარული არ ღირს. ჩავიქნიე ხელი, იქნებ მოვიდეს ნორმალური მთავრობა, ვინც დაინტერესდება და გამოიძიებს. თორემ ამ საქმის ბოლო ეს იქნება, შემოდებენ თაროზე“, — აცხადებს თორნიკე ხვიჩიას მამა ელგუჯა ხვიჩია.

ადვოკატი აცხადებს, რომ გარდაცვლილი ბავშვების ოჯახის წევრებს მომხდართან დაკავშირებით არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა აქვთ.

საქმეში ბრალდებულად გამოძიებამ სასტუმროს ერთ-ერთი მეპატრონე ზაზა ართმელიძე ცნო, რომელმაც რამდენიმე კვირის წინათ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლო სასტუმრო „არმაზში“ გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით გუშინაც მსჯელობდა.

„პანორამა თბილისის“ შესახებ საქმის წარმოება შეწყდა

მოსამართლემ დააკმაყოფილა „პანორამა თბილისის“ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ ეკონომიკის სამინისტროსა და თბილისის მერიის შუამდგომლობა. მოსამართლემ მიიჩნია, რომ საიას სარჩელი ხანდაზმული იყო. საია განჩინების გასაჩივრებას სააპელაციოში აპირებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „პანორამა თბილისის“ პროექტის ფარგლებში გაცემულ ორ სამშენებლო ნებართვას აპროტესტებს. ორგანიზაციის იურისტები აცხადებენ, რომ სოლოლაკის მაღლობისა და სოლოლაკის ბაღების მშენებლობის ნებართვა თბილისში არსებული ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაშია გაცემული.

საია-ს იურისტი სულხან სალაძე აცხადებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონი, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში მსგავსი ტიპის სამშენებლო ნებართვის გაცემას კრძალავს. საია ამ ორი ნებართვის გაუქმებას მოითხოვს.

მანამდე, საია-მ მტკიცებულების დართვაზე შუამდგომლობა დააყენა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და კულტურის სამინისტროში გაგზავნილი მათი წერილი საქმეს დაურთო. სწორედ ამ წერილის საფუძველზე მიიღეს კულტურის სამინისტროდან რუკა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ პანორამა თბილისისთვის ორი ნებართვა კულტურული მემკვიდრეობის ზონაშია გაცემული და დაცვის სპეციალური ზონაა, სადაც მშენებლობები ნებადართული არ არის.

გამოსათხოვარი

ოთარ ბერეჩიკიძე



ცნობილი ფოტოხელოვანი, ქუთაისის გულმართალი მემატიანე ოთარ ბერეჩიკიძე გარდაიცვალა...

ის თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ქვეყნის ერთ-ერთი უხნესი გაზეთის „ქუთაისის“ მკითხველებს. იმ გაზეთის მკითხველებს, რომელსაც უშუალოდ ქალაქში, სრულიად საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ, დღეისთვის ყოვლად წარმოუდგენელი 50.000-იანი ტირაჟით მიჰქონდა ამბავი ქუთაისელ მწერალთა და ხელოვანთა, მეცნიერთა და სტუდენტთა, ავტო, ტრაქტორ და სამთო ელმავალმშენებელთა, ქართული აბრეშუმის მქსოველთა, ავეჯის ოსტატთა, ნავთობის ამომტუმბიმ დანადგართა, რომლებიც არა მარტო მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდა, არამედ მოპოვებული ჰქონდათ საერთაშორისო პრესტიჟული ჯილდოც, რომელსაც „ოქროს მზე — საუკეთესო“ ერქვა.

საქართველოს მეორე სამეცნიერო და ინდუსტრიული ცენტრის ამ გაზეთს 7 წლის წინათ მავანთა კარიერისტულმა ინტერესებმა ისევე მოუსწრაფეს სიცოცხლე, როგორც ქვეყნის დედაქალაქის ერთადერთ საღამოს გაზეთ „თბილისს“. მას შემდეგ ავადმყოფობამ ლოგინს სამუდამოდ მიაჯაჭვა მანამდე სიახლეთა გამუდმებით მაძიებელი, სიცოცხლითა და იუმორით სავსე ფოტოხელოვანი.

გვჯერა, რომ როცა მომავალი თაობები გაზეთ „ქუთაისის“ კომპლექტებს გადახედავენ და დაკვირვებით გაეცნობიან ცნობილი ჟურნალისტის ოთარ ბერეჩიკიძის მახვილი თვალით დანახულ რიონისპირა ქალაქის სამეცნიერო, კულტურულ და ინდუსტრიულ მაჯისცემას, დარწმუნდებიან, თუ რაოდენ საჭიროა, დაუყოვნებლივ აღუდგეთ სიცოცხლე ისეთ პოპულარულ გაზეთებს, როგორებიც იყვნენ „თბილისი“ და „ქუთაისი“!

მშვიდობით, ჩვენო ვალმოხდილო ძმაო და კოლეგავ!

ღმერთმა ინებოს შენი ამაღლება ზეციურ საქართველოს მარადიულ ნათელში!

სპარტაკ ქოგულია,
ალექსანდრე შენგელია,
გაზეთ „ქუთაისის“ ყოფილი რედაქტორები

სანთელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები და ლექტორები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გამგეობის წევრს, მწერალ გურამ გეგეშიძეს გარდაეცვალა მეუღლე, სიკეთით, სათნოებითა და სიყვარული გამორჩეული ადამიანი

დოლორეს გეგეშიძე

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

პანაშვიდი 23 VI, 17სთ. გამოსვენება 24 VI, 15 სთ. მისამართი: სოფელი დიღომი, აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კმ. ტრასიდან მესამე სახლი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ ინგა შამილიშვილის მეუღლის

ბექა ვერძაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვულოცავთ!

ქალბატონი

ნუნუ გრიგალაშვილი

იუბილარია

დიდი სიყვარულით, ძმური გრძნობითა და სითბოთი მინდა, მივულოცო იუბილე ჩემს გულითად მეგობარს

ნუნუ გრიგალაშვილს.

ჩემო ძვირფასო, შენ — მზრუნველ დედასა და ბებიას, სანათესავოში, სამეზობლოსა და სამეგობროში გამორჩეულ გულიან, სტუმართმოყვარე ქალბატონს, დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს გისურვებ ყველა შენს საყვარელ ხალხთან ერთად!

პატივისცემით,

თენგიზ ქავთარაძე

სოფელ ოკამში VIII საუკუნეში მცხოვრები ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები აღმოაჩინეს

თბილისიდან 50 კილომეტრის მოშორებით სოფელ ოკამში მთის წვერზე ადამიანის სხეულის ნაწილები აღმოაჩინეს. თავის ქალის ნაწილი, ქვედა ყბის ფრაგმენტები და კიდურები, იმდენად ძველი იყო, რომ მიწიდან ამოღებისას მათი ნაწილი დაიშალა. თვითმხილველებმა პოლიციას გამოუძახეს.

სამართალდამცველებმა აღმოჩენილი ძვლების გამო გამოძიება დაიწყეს. სისხლის სამართლის საქმე ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. რამდენიმე დღიანი ძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნაპოვნი ძვლები სამუზეუმო ექსპონატია და არქეოლოგიურ ნიმუშებს წარმოადგენს.

აღმოჩენა არქეოლოგებისთვის ახალი მასალა გახდა. სპეციალისტებმა უკვე შეისწავლეს ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები და წინასწარი ინფორმაციით, ძვლები მერვე საუკუნეში მცხოვრებ ადამიანს ეკუთვნის. 13 საუკუნის წინანდელი ოკამელის გარდაცვალების ფაქტი პოლიციისთვის საინტერესო აღარ აღმოჩნდა და გამოძიება მეოთხე დღეს შეწყდა.

სოფელ ოკამში, მიწის ქვეშ რომ უძველესი ისტორიის მნიშვნელოვანი ფაქტები იმალება, კიდევ ორი აღმოჩენა მოწმობს. ოკამში იხსენებენ, რომ რამდენიმე ოჯახში საკარმიდამო მიწების დამუშავების დროს ქვევრის უძველესი ნიმუშები აღმოჩნდა, რამდენიმე ადგილას ოქროსგან დამზადებულ ჯვრებს მიაკვლიეს. საუკუნეების წინანდელი ქვევრი ახლაც სოფელში, ერთ-ერთი ადგილობრივის ბოსტანში ინახება.

ბათუმის მიმართულებით მაგარებლების რაოდენობა გაიზარდა

მგზავრების გაზრდილი რაოდენობის გამო „საქართველოს რკინიგზამ“ 23 და 25 ივნისს მატარებლების რაოდენობა გაზარდა.. ინფორმაციას „საქართველოს რკინიგზა“ ავრცელებს.

შვეიცარიული კომპანია „შტადლერის“ ორსართულიანი ელექტრომატარებელი რეისებს ახალი განრიგით შეასრულებს.

ელექტრომატარებელი თბილისის ცენტრალური ვაგზლიდან გავა 23 ივნისს - 10:30 სთ. და ბათუმში ჩავა 15:29 სთ-ზე. 25 ივნისს ბათუმიდან გამოვა 17:05 სთ და თბილისში დაბრუნდება 22 სთ-ზე.

წლის სიმღერის გამარჯვებული სტეფანე გახდა

წლის სიმღერის კონკურსში სტეფანემ გაიმარჯვა სიმღერით „დამიბრუნდი“. რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ 20 წლის საიუბილეო ღონისძიება და ქართული სიმღერის კონკურსში „ოქროს ტალღა 2017“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია მთაწმინდის პარკში გაიმართა. „ოქროს ტალღა“ წელს მეოთხედ გაიმართა და ყველაზე მასშტაბური სახე მიიღო. საიუბილეო საღამოზე რადიოჰოლდინგის სპეციალური სტუმარი ფრანგი შემსრულებელი და ინსტრუმენტალისტი, პოპულარული ჯგუფის Modjo-ს ყოფილი სოლისტი იან დესტალი იყო.

კონკურსში მონაწილეობას 125 სიმღერა იღებდა, რომელთაგან რჩეულები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, ხალხის რჩეული „ოქროს ტალღის“ საიტზე მიცემული ხმების დაჯამებით გამოვლინდა, ჰოლდინგის ოთხივე რადიოსადგურმა და ტელეკომპანია „მიუზიკბოქსმა“ კი საკუთარი რჩეულები დაასახელა.

„ფორტუნას“ ჰოლდინგის მიერ ორგანიზებულ წლის სიმღერის კონკურსის ჟიურის შემადგენლობა ამგვარი გახლდათ: მერაბ სეფაშვილი, ნიკოლოზ რაჭველი, ნინო ქათამაძე, მაცაცო სებისკვერაძე, ზაზა შენგელია, ხატია შამუგია, დათო ფორჩხიძე, გიორგი უშიკიშვილი, ვაჟა დურგლიშვილი და ვალერი მელაძე.

რით ვკვებოთ ბავშვები

საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ახალი რეგულაციის მიხედვით, 2017 წლის პირველი აგვისტოდან სურსათში ტრანსცხიმის შემცველობა 100 გრამ მცენარეულ ცხიმში არ უნდა აღემატებოდეს 2 გრამს, ხოლო ჩვილ ბავშვთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათი ტრანსცხიმს არ უნდა შეიცავდეს.



აღნიშნული დადგენილებით, განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ვალდებულია სურსათი ამოიღოს რეალიზაციიდან და გაანადგუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაჯარიმდება 1000 ლარით. ტრანსცხიმის ნორმის განსაზღვრის მიზნით, მიმდინარე წელს სურსათის ეროვნული სააგენტო ლაბორატორიული კვლევისთვის 136 ნიმუშს აიღებს.

ტრანსცხიმი არის ცხიმოვანი მჟავა, რომელიც წარმოიქმნება საწარმოო პროცესში ცხიმების ნაწილობრივი ჰიდროგენიზაციის დროს. მას ხშირად იყენებენ რძის შემცველ პროდუქტებში, მაგალითად, მარგარინში, სპრედში, ნაყინში, საკონდიტრო ნაწარმში, სწრაფი კვების პროდუქტებში და სხვა.

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი

სპარტაკ ქობულია

293-13-34

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გოგიაშვილი

599 53-76-16;

ალეკო ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაკიძე

514 33-33-24

გამომცემლები:

შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა

„კოლორ პრესში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.4081; ევრო - 2.6841;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0419;
100 რუბლი - 4.0412; თურქული ლირა - 0.6808;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4282;
1000 სომხური დრამი - 5.0117.

ამინდი 23 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+25
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+11	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+18,	დღე	+28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:

ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge